# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 25 აპრილი 2006 №91 (2713) ფასი 50 თეთრი


# ზესტაფონო, მოვდივარ

## რალფ მინგეს სიტუაცია ეიმერება და ეიმედება



საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ერთი ნაბიჯი დარჩა ევრო 2007-ის შესარჩევ ჯგუფში შესვლამდე და ძალიან მოულოდნელი იქნება, ეს ნაბიჯი ვერ გადადგას. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში რალფ მინგეს გუნდმა სტუმრად ოთარ მარცვალაძის დუბლით 2:1 დაამარცხა მალტელები და ხვალ ზესტაფონის „ცენტრალურზე“ უფრო მსუყე გამარჯვებას ეცდება.

მინგე უკვე ზესტაფონშია და გუშინ ნაკრები ავარჯიშა კიდეც. ქართველების და სტუმრების საზესტაფონო შემადგენლობებს მეექვსე გვერდზე გაეცნობით, აქ კი მინგეს სიტყვებს მოვიყვანთ, რომელიც მან „ზესტაფონ“ — „ბათუმის“ შემდეგ თქვა: „აღფრთოვანებული ვარ, ასეთი ქომაგობა ნებისმიერი გუნდისა და ნაკრებისთვის სანატრელია. იმედია, ოთხშაბათსაც ასე იქნება“...



# მადრიგალი თუ რექვიემი?

## პელეგრინის პილიგრიმობას ანრი ემუქრება




AFP ვილიარეალიდან

„ვილიარეალის“ ძალა და ტვინი: ხუან რომან რიკელმე და მანუელ პელეგრინი

დღეს „ელ მადრიგალზე“ ჯერ ბრძოლა იქნება, მერე კი დიდი სიხარული და მწუხარება აირევა ერთმანეთში. პელეგრინის „ვილიარეალი“ თუ ვენგერის „არსენალი“? მასპინძლებს „ელ მადრიგალის“ და ფანობის ეიმედებათ. ამ სტადიონზე „ვილიარეალის“ წაქცევა ძალიან ძნელია, „არსენალს“ კი ტიერი ანრი ჰყავს, რომელიც საუცხოო ფორმაშია.

ორივე გუნდი პირველადაა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, ერთ-ერთი უნდა გავარდეს...



AFP ლონდონიდან

„არსენალის“ არსი: ტიერი ანრი

## ხვალინდელ „სარბიელში“

## თქვენი ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან



# საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე 27 ტური

# ფინალის 1/4

## თბილისმა პირველლიგელს პირველად შეხედა

თბილისი. 22 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი. 500 მაყურებელი

### თბილისი 1:0 კოლხეთი

1:0 ხოჯავა (17)

**თბილისი:** მ. ალავიძე, მიმინოშვილი, გუშარაშვილი, მიქიაშვილი, ხოხონიშვილი, ლ. კვარაცხელია, ბესარაშვილი (კაკაბაძე 60), ხოჯავა (ნ. კვასხვაძე 81), აფციაური, სახვაძე, ზირაქიშვილი (მ. ბარაბაძე 35)
*სათადარიგონი:* თევდორაძე; მაჭავარიანი, ქორიძე, ხუციშვილი
**მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა

**კოლხეთი:** ლატარია, კილასონია (ზ. ჯანაშია 46), ზ. რაზმაძე, ფარულავა, კრასოვსკი, მარგალიტაძე, ვართაგავა, ყურაშვილი, დ. ნარსია, ზ. ქუთათელაძე, წიქარიშვილი
*სათადარიგონი:* ხარძეიშვილი; ნოდია, ლოლუა, წაბრია, ხიზანიშვილი
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**გაფრთხილება:** ალავიძე (35), ჯანაშია (79)

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი; დ. კვეტენაძე, დ. კურტანიძე; კ. ჭაჭუა

**დამკვირვებელი:** ო. რუხაძე



გოჩა ხოჯავას (№10) გოლმა „თბილისი" პირველად აიყვანა მე-14 ადგილზე

**კახა შალამბერიძე**

„თბილისმა" კიდევ ერთი „ფინალი" მოიგო. ჩემპიონატის ბოლომდე ამ გუნდისთვის ყველა თამაში გადამწყვეტია და აგერ, პირველად ამ სეზონში, „თბილისმა" ბოლოდან მესამე ადგილზე აიწია. ეს კი ის საფეხურია, პირველლიგელთან გადათამაშების საშუალებას რომ იძლევა და გოჩა ტყებუჩავას გუნდის მიზანიც სწორედ ესაა.

„კოლხეთთან" მოგება დედაქალაქელთათვის იოლი სულაც არ ყოფილა. ფოთელებმა არაფერი დაუთმეს მეტოქეს და მართალია, სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდათ, მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ.

„თბილისს" პირველ ტაიმში ჰქონდა უპირატესობა და გოლიც მაშინ გაიტანა: გოჩა ხოჯავა მოედნის ცენტრიდან ისე დაიძრა, აშკარად იგრძნობოდა, შემჩერებელი არავინ ჰყავდა, გზად რამდენიმე კოლხი მიაბნ-მოაბნია და დაბალი ზუსტი დარტყმით შორეულ კუთხეში აафართხალა ბურთი — 1:0. ეს ამბავი მე-17 წუთზე მოხდა.

საერთოდაც, პირველ 45-წუთეულში ხოჯავა ძალიან აქტიური იყო, ჩვეულ პასებსაც არიგებდა და შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდა, რამაც ტრიბუნაზე მჯდომ ჰაინც ტოპმიოლერს რამდენჯერმე აშკარად დაატყო კმაყოფილება. უფროსი ტოპი წამდაუწუმ რალაცეებს ინიშნავდა და ნებისმიერ ფეხბურთელს პლუს-მინუსებით აფასებდა. შეიძლება ითქვას, პირველი ტაიმით ის მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩა, მერე კი...

მერე საინტერესო არც არაფერი მომხდარა. „თბილისი" დაიღალა, „კოლხეთი" კი საჯარიმომდე მისვლას ახერხებდა და შეტევებსაც იქ ამთავრებდა.

ასეთი ჯაჯგური იყო ბოლო წუთამდე, ბოლო წუთზე კი... აბა, სანახაობა ეს იქნებოდა, თუ იქნებოდა — შეცვლაზე შესული მურთაზ კაკაბაძე გაუმართლებლად დაჯარიმდა და მთელი „კოლხეთი" თბილისელთა საჯარიმოში ჩავიდა. ჩაწოდება, დარტყმა და... დავით ნარსიამ ორიოდ მეტრიდან ცარიელ კარს გადააცილა.

მატჩიც აქ დასრულდა. „თბილისმა" გაიხარა, ფოთელები კი მინდორზე გაიშოტნენ...

# ვისთვის ლოკო და ვისთვის მოტივი

## ცხინვალს პირველი ტაიმი ეყო

გორი. 22 აპრილი. 16 საათი. ქართლი. 40 მაყურებელი

### ცხინვალი 2:1 ლოკომოტივი

1:0 დათვაძე (13), 2:0 ბ. ჩიტაია (28), 2:1 ჟღენტი (35)

**ცხინვალი:** გ. შენგელია, გ. ჩიტაია, მ. ლომიძე, ქარქუზაშვილი, ეჯოშვილი, მ. თაყაძე (მძინარიშვილი 46), კ. ხანიშვილი, ხაჭაპურიძე, ბ. ჩიტაია (ბოლოთაშვილი 87), დათვაძე, სულთანიშვილი (ნ. ნოზაძე 57)
*სათადარიგონი:* ქესანაშვილი; გ. მაისურაძე, ფერსაევი, დ. ხანიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ მაისურაძე

**ლოკომოტივი:** ზუხბაია, ავალიანი, ობგაიძე, თუთბერიძე, ხორგუაშვილი (რამონი 46) გულორდავა, გ. კახელიშვილი (პეტროსიანი 70), ჩივაძე, ფურთუხია, ალავერდაშვილი (ყიფიანი 46), მ. ჟღენტი
*სათადარიგონი:* ჩალაძე; მენაბდე, ბარბაქაძე, ნ. ებრალიძე
**მწვრთნელი:** სოსო სირაძე

**გაფრთხილება:** ხაჭაპურიძე (17), მ. თაყაძე (43), კახელიშვილი (57), მძინარიშვილი (90)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე; კ. ბერაძე, ზვ. ასკაროვლი; ზ. ასკაროვლი

**დამკვირვებელი:** ა. ბაჩუკაშვილი

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**სტუმართა** ახალგაზრდულმა გუნდმა თავიდანვე აგრძნობინა მასპინძლებს, რომ უბრძოლველად არაფერს არ დათმობდა და პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს. მე-8 წუთზე გიორგი ჩივაძემ კარგად მიაწოდა მიხეილ ჟღენტს, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ აცდა კარს.

„ცხინვალის" მიერ შექმნილი პირველივე მომენტი კი გოლით დასრულდა — მიხეილ თაყაძე ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და პირით ხაზთან მისულმა უკან დაუგორა საბა სულთანიშვილს, რომელმაც იქვე მყოფ დავით დათვაძეს გაატანინა — 1:0.

მასპინძელთა აქტიურობამ 28-ე წუთზეც გამოიღო შედეგი — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ბექა ჩიტაიამ და თავით შეაგდო კარში — 2:0.

ტაიმის ბოლოს სტუმრებმა ერთი საპასუხო გაიტანეს. 35-ე წუთზე ჟღენტმა მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გასულმა იხეირა.

მეორე ნახევარი სტუმართა უპირატესობით წარიმართა. მათ ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს „ცხინვალის" კართან.

ასე იყო თუ ისე, მეტი გოლი აღარ გასულა...

მცხეთა. 22 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 300 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:0 ტორპედო

1:0 იმედაშვილი (9)

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, გველესიანი, ლომაია, ა. კვახაძე, პ. დათუნაიშვილი, იმედაშვილი (გ. მელქაძე 85), გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი, ლუჭაშვილი (ზ. სახოკია 57), გელაშვილი (ბერიაშვილი 83)
*სათადარიგონი:* ჯაფარიძე, კვალიაძე, კლიმიაშვილი
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**ტორპედო:** ჭურაძე, ზ. ჩხეტიანი, გამეზარდაშვილი, ა. კვერნაძე, კორღალიძე, ყიფიანი, დოლონაძე, მ. ღონღაძე (გვეტაძე 73), დარსანია (ხურცილავა 46), ლალაძე, ბერუაშვილი
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; გორგოძე, ნ. ნადირაძე, კეტაშვილი, გურული
**მწვრთნელი:** იური კვერნაძე

**გაფრთხილება:** პ. დათუნაიშვილი (42), დოლონაძე (44), ა. კვახაძე (55), ხურცილავა (72)

**მსაჯები:** გ. გადაჭკორია; მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია; ტ. არაბული

**დამკვირვებელი:** მ. ჭელიძე

# ისევ იმედაშვილი იმედად

**დავით თავართქილაძე მცხეთიდან**

**ამ** გამარჯვებით „ვიტ ჯორჯიამ" საჩემპიონო შანსი შეინარჩუნა და ჩემპიონატსაც ინტრიგა დაუტოვა — ლიდერმა „სიონმა" ხომ ბორჯომში წააგო და ვიტელები სამ ქულამდე მიიახლოვა.

„ვიტ ჯორჯიას" აკლდა ის, რასაც წინა ტურებშიც უჩიოდა — ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ გადატვირთული კალენდრისგან გადაღლილები არიან, მხნედ და ნედლად ვერ გამოიყურებიან.

ქუთაისის „ტორპედომაც" ვერ ითამაშა თვალისმომჭრელად — რამდენიმე ტორპედოელი ძალიან შორსაა ოპტიმალური ფორმისაგან, მხოლოდ გამოცდილების ხარჯზე კი „ვიტ ჯორჯიასთან" წარმატების შანსი ძალიან მცირეა.

„ვიტ ჯორჯიამ" ჯიქურ შეუტია, თამაში მეტწილად „ტორპედოს" ნახევარზე მიდიოდა, თუმც მასპინძლებს შტურმისმაგვარი არ მოუწყვიათ. ვიტელები პირველად მაშინ დაემუქრნენ მეტოქეს, როცა გიორგი ფეიქრიშვილმა დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან დაარტყა და სერგო ჭურაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მასპინძელთა მეორე სახიფათო მომენტს კი გოლი მოჰყვა: დავით დილმელაშვილმა მარცხნიდან ჩააწოდა ჯარიმა, კარიდან გამოსული ჭურაძე ბურთს ვერ შეხვდა, დავით ლომაიამ კი თავით მიაწოდა დავით იმედაშვილს და მანაც თავი დაამგერა ბურთს — 1:0.

მეორე წრეში „ვიტ ჯორჯიას" მთავარმეგოლე სწორედ იმედაშვილია, ეს მისი მერვე გოლი იყო, მაგრამ მისი გოლაობა ვერა და ვერ იქცა გამოწვევად თანაგუნდელი ფორვარდებისთვის — გადაღლის გარდა ნესტორ მუმლაძის გუნდს ეს პრობლემაც მწვავედ აწუხებს.

„ვიტ ჯორჯიას" პირველ ტაიმში კიდევ ორჯერ შეეძლო „ტორპედოს" დამწუხრება — დილმელაშვილის ჩაწოდებულზე ალექსანდრე კვახაძემ ვერ გაისწორა მიზანი, მერე იმედაშვილი მარცხნიდან კარგად შეიჭრა ქუთაისელთა საჯარიმოში, ახლო კუთხისკენ დაარტყა და ოდნავ აცილა კარს.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯია" ველარ ბატონობდა მოედანზე, თუმცა ბურთის ფლობის ხანგრძლივობით მაინც აღემატებოდა რიონისპირელებს და რამდენიმე მწვავე იერიშის გარდა გაცუდებულ ნალდ საგოლე მომენტსაც გამორჩა.

მეორე ტაიმი უფრო ნერვიული გამოდგა. ვიტელებმა შეიტყვეს, რომ „სიონი" ბორჯომში აგებდა და თითქოს დაიძაბნენ, „ტორპედოს" ნებისმიერი კონტრშეტევა „ვიტ ჯორჯიას" სათადარიგოთა სკამზე მღელვარებას იწვევდა, მწვრთნელები — მუმლაძე და ზურაბ ბერიძე მთელი მეორე ტაიმი ფეხზე იდგნენ და მითითებებს აძლევდნენ ფეხბურთელებს.

...იმედაშვილის თავურს ჭურაძე დაეუფლა, ოლეგ გველესიანის კარგი რეიდი არაზუსტი დარტყმით დამთავრდა, გიორგი დათუნაიშვილმა შორიდან ოდნავ ააცილა კარს და შეხვედრის ბოლო წუთი — გიორგი დათუნაიშვილმა სოლო რეიდი იკისრა, თითქმის 30 მეტრი ირბინა ბურთიანად, ჭურაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ რიგიანად ვერ დაარტყა და მეკარემ იმარჯვა...

### ინგლისი

პრემიერლიგა
XXXVI ტური
ფულემი 1:0 უიგანი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XXXV ტური
ამიენი 0:0 სედანი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXXI ტური
ფიურტი 1:1 კოტბუსი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXXII ტური
აკადემიკა 0:3 ბრაგა

### იტალია

სერია B. XXXVII ტური
ალბინოლეფე 2:0 ბარი

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი. გადასასვლელი პლეი ოფი

A ჯგუფი. II ტური
ტილბურგი 6:2 ზვოლე
ვენლო 2:4 გრააფსხაპი

B ჯგუფი. II ტური
ვოლენდამი 2:3 ჰელმონდი
ბრედა 2:2 ოსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 27 ტური

# ორი არგენტინელის ტანგო

გიორგი ნოზაძე ბორჯომიდან

**ზედიზედ** მეორე ტურია, „ბორჯომი“ ადგილობრივი მასშტაბის სიურპრიზს გვთავაზობს. თბილისის „სპარტაკთან“ კურორტელების მარცხს არავინ ელოდა და დაკარგულმა სამმა ქულამ დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა „ბორჯომის“ ევროშანსებს. სამაგიეროდ, ასევე მოულოდნელი შედეგით დასრულდა შაბათის მატჩი, რომელშიც „ბორჯომი“ ჩემპიონატის ლიდერს და ლამის უკვე ჩემპიონად შერაცხულ „სიონს“ მასპინძლობდა. სახელისუფლებო სტრუქტურების ორი ფავორიტი კლუბის დაპირისპირებამ ნამდვილად არ გაუცრუა მოლოდინი „ჯემალ ზეინკლიშვილზე“ მისულ ქომაგს, რომელთა შორისაც ასე, ოცდაათი-ორმოცი ბოლნისელი ფანიც იყო.

ქვემოქართლელებს დღეს გაცილებით გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ, შემადგენლობის როტაცია ძალების გადანაწილების შესაძლებლობას აძლევთ და სანუკვარი მიზანიც ერთი ხელის გაწვდენაზე მოჩანს. „ბორჯომი“ კი, რუსებს რომ დავესესხოთ, „ჩერეზ ნე მაგუ“ თამაშობს, თითქმის არ ჰყავს სათადარიგო ფეხბურთელები და ტრავმებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ყველაფრის გათვალისწინებით, მატჩამდელი პროგნოზები „სიონისკენ“ იხრებოდა და მასპინძლებს უკეთეს შემთხვევაში ფრეს უქადდა.

მატჩი კახა ცხადაძის შეგირდების აქტიურობით დაიწყო. „სიონმა“ სწრაფი გოლის გატანასა და შემდეგ თამაშის კონტროლზე დადო ფსონი. უკვე მე-3 წუთზე ლევან ხმალაძის გასროლას თამაშში ზურაბ მამალაძის ჩართვა მოჰყვა. წუთის შემდეგ უკვე მასპინძლებმა იაქტიურეს და ხუთიოდ მეტრიდან რევაზ გეწაძის თავური მამალაძის სეხნია და კოლეგა ბათიაშვილს პირდაპირ ხელებში მიუვიდა.

და მაინც, „სიონი“ გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა. ჯერ თენგიზ უგრეხელიძემ, შემდეგ კოკა მიკუჩაძემ და ბოლოს გიორგი ქუცურუამ გააცუდეს ერთმანეთზე უკეთესი მომენტები. ასეთ დროს ამბობენ, დაუწერელი საფეხბურთო კანონი ამოქმედდაო: 28-ე წუთზე გონსალო დე პორასისა და რევაზ გეწაძის სამსვლიანი კომბინაცია იმით დასრულდა, რომ ბოლნისელმა ლევან ხმალაძემ არგენტინელი ფორვარდი საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა. ლევან ფანიაშვილმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და „ბორჯომში“ ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელმა ისურვა „აღმასრულებლის“ როლი. საბოლოოდ ეს პატივი დაზარალებულმა გონსალო დე პორასმა ირგუნა, მაგრამ ინანა — მარჯვენა დაბალ კუთხეში დარტყმულ ბურთს ბათიაშვილი მისწვდა, მერე კი ძელმა აისხლიტა და მოედანზე დაბრუნდა.

რამდენიმე წუთში მოედანზე მცირე წაკინკლავება დაიწყო, ამით ისარგებლა მავანმა ქომაგმა და პირდაპირ მოედანზე „შეაჭრა“. სამართალდამცავების როლი ბორჯომელთა ახალმა კერპმა გონსალო დე პორასმა იტვირთა, მსაჯის მოსაკითხად მომართული ფანი გულში ჩაიხუტა და მოედანს გაარიდა.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი შეიცვალა. საიდან მოიტანა „ბორჯომმა“ ენერგიის დამატებითი მარაგი, უცნობია, მაგრამ ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა მნიშვნელოვნად უმატა. ეს უპირველესად არგენტინელი დარიო სებალეს დამსახურებაა, რომელმაც ტრავმირებული მიხეილ მესხის არყოფნაში მასპინძელთა ნახევარდაცვის პირველკაცობა ითავა და ალბათ ქართულ კარიერაში საუკეთესო ტაიმი ჩაითამაშა. ბორჯომელებმა მეორე ტაიმის დებიუტში საგოლე, თანაც ერთობ ეფექტური მომენტი შექმნეს. მოედნის ცენტრიდან ედიკ საჯაიას გადაცემას საჯარიმოსთან წაქცეულმა გონსალო დე პორასმა ერთი შეხებით დაუნაცვლა და ზურაბ ბათიაშვილმა არანაკლებ ლამაზ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი. ამას თითქმის მყისვე მასპინძელთა დაცვის შეცდომა და მიხეილ ხუციშვილის ერთი შეხებით დარტყმა მოჰყვა — მამალაძე ადგილზე დახვდა ბურთს. ორ წუთში კი ანგარიშიც გაიხსნა: დავით ბაქრაძის ჩაწოდებულ ბურთს დავით ჭიჭვეიშვილი იგერიებდა, ეს მთლად კარგად ვერ გამოუვიდა და ბურთი ლევან სანიკიძესთან აღმოჩნდა. „ბორჯომის“ ლიდერთაგანმა საჯარიმოს წინა ხაზიდან ისეთი დაარტყა, ბათიაშვილის გასამტყუნებლად კაცს ენა არ მოვიბრუნდება — 1:0.

ბუნებრივია, „სიონმა“ დიდი ძალებით შეუტია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ბოლო წუთზე კოკა მიკუჩაძის დარტყმულის გარდა სხვა რეალური საგოლე შანსი მიეცა. ამასობაში მასპინძლებმაც მოასწრეს რამდენჯერმე ჩხვლეტა: ლევან ფანიაშვილის სასტვენმა საქართველოს პირველობაზე საჩემპიონო ინტრიგის დაბრუნება გვაუწყა, „ბორჯომმა“ კი „სპარტაკთან“ მარცხის კომპენსირება შეძლო და ძველ, ანუ საევროთასო გრაფიკს დაუბრუნდა.

ბორჯომი. 22 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 4 000 (ტევადობა 4 000)

## ბორჯომი 1:0 სიონი

| | |
|---|---|
| 1:0 სანიკიძე (56) | |
| *დე პორასმა ვერ გაიტანა პენალტი (28, მეკარე)* | |
| ბორჯომი: მამალაძე, საჯაია, ა. ბურნაძე, ბაქრაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, სანიკიძე, გეწაძე (შ. ჯიქია 80), ვ. გოჩაშვილი (გ. ჩხეტიანი 89), სებალე, დე პორასი (თედიაშვილი 90)<br>*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; გაბისკირია, ლომიძე<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | სიონი: ბათიაშვილი, ბეგ. თედორაძე, დ. სვანიძე, ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი (კვიტაიშვილი 60), თ. უგრეხელიძე (სირბილაძე 70), გურბიენკო, ხმალაძე, ქუცურუა (ა. ალავიძე 22), მ. ხუციშვილი, მიკუჩაძე<br>*სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; ოქროპირიძე, კობაური, ქარდავა<br>მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: სანიკიძე (33), დე პორასი (60), გურბიენკო (70), ჯიქია (85) | |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. თოდრია, ზ. ფიფია; პ. დოგრაშვილი | |
| დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია | |



საქართველოს XVII ჩემპიონატი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე 27 ტური

# ძილისპირული

## სპარტაკს ქულები ბოლოს გაახსენდა



დავით სევასტოპულომ (№20) სპარტაკელებს ვერა და ვერ გაუტანა

თბილისი. 22 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 200 (ტევადობა 1 500

### სპარტაკი 1:1 ამერი

1:0 ოქროშიაშვილი (12), 1:1 დავითნიძე (17)

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, გაგნიძე (მალიჩავა 60), თ. მჭედლიშვილი, ტაბიძე, ტაბუცაძე, მაისაშვილი, მოდებაძე, ჯიბლაძე (მუშკუდიანი 46), ჩანტლაძე (დანელია 63), მ. ლობჟანიძე, ოქროშიაშვილი
*სათადარიგონი:* ლაძაძე; კობალაძე, ხარაიშვილი, რატია
მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე

ამერი: ქვაჩახია, გ. კვახაძე, დავითნიძე, ელბაქიძე, გვაძაბია (ბოლქვაძე 56), ბერიანიძე, დოლიძე (კოშკაძე 50), სილაგავა, დეკანოსიძე, სევასტოპულო, წინამძღვრიშვილი (ს. დავითაშვილი 46)
*სათადარიგონი:* გვენცაძე; კაიდარაშვილი, კედელაშვილი, ნიკოლაიშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: გაგნიძე (35), დოლიძე (48), ელბაქიძე (70), ბოლქვაძე (73), დავითაშვილი (76)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ხ. გაგნიძე, თ. ხუჭუა; ა. გუნთაძე

დამკვირვებელი: ს. კუტივაძე

კობა ინასარიძე

**საქართველოს** თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის მომლოდინე თბილისის „ამერმა" შაბათს მორიგი ორი ქულა გაანიავა, ამჯერად აუტსაიდერ „სპარტაკთან", რომელმაც, თავის მხრივ, წინა ტურში სამეულისთვის მებრძოლი „ბორჯომი" მთლად უქულოდ გაისტუმრა.

ამ მატჩის მოგება „სპარტაკსაც" შეეძლო და „ამერსაც", თუმცა ორივე გუნდისგან ისეთი უსახური თამაში ვნახეთ, ალბათ, ლოგიკურიც იყო, შეხვედრა ფრედ რომ მორჩა.

სტუმარ-მასპინძლის ამბავი მატჩამდე ყველამ იცოდა: „ამერისთვის" ახლა ერთადერთი საზრუნავსაფიქრალი 2 მაისის თასის ნახევარფინალია და გუნდსაც ბოლო დროს ჩემპიონატისთვის ჩვეულად განწყობა უჭირს, რითაც „ყვითლები" აქამდე გამოირჩეოდნენ. მწვრთნელიც თითქმის ყველა შეხვედრაში ექსპერიმენტულ შემადგენლობას აყენებს და ლიდერებს დასვენების საშუალებას აძლევს, ხოლო დანარჩენებს სათამაშო პრაქტიკას არ აკლებს.

„სპარტაკს" კი, უკვე რა ხანია, უმაღლეს ლიგაზე ხელი აქვს ჩაქნეული და ყოველმხრივ უმოტივაციო გუნდს გამართულ ფეხბურთს, მგონი, არც არავინ სთხოვს. და მაინც, შაბათს მეტოქეებისგან უფრო მეტს ველოდით და ვერ ვიფიქრებდით, ტრიბუნაზე შეკრებილი ასამდე ქომაგი მატჩისას ძილის პირამდე თუ მივიდოდა.

არადა, ანგარიში მალევე გაიხსნა: მარჯვენა ფლანგიდან მასპინძელი ლაშა ჯიბლაძის დიაგონალური პასი „ამერის" საჯარიმოსთან გივი ოქროშიაშვილმა მიიღო, მცველების უყურადღებობით ისარგებლა და შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა. სხვათა შორის, ეს ოქროშიაშვილის მესამე გოლი იყო ბოლო ორ შეხვედრაში — ორი „ბორჯომს" გაუტანა. „ყვითლებმა" გოლს მალევე უპასუხეს — გიორგი დავითნიძემ კუთხურიდან ჩაწოდებულს მიაყოლა თავური და გუნდებმაც თითქოს საქმე ამით მოამთავრესო. ამ გოლამდე დავით სევასტოპულოს ნაღდი საგოლე შანსი იყო, მერე კი გრიგოლ დოლიძესაც გაუცუდდა მომენტი. სხვა შესვენებამდე საინტერესო ალარაფერი გვინახავს.

შესვენებაზე კი გიორგი ჩიხრაძემ მთავარ დამრტყმელ ძალას უხმო — რატი წინამძღვრიშვილი სულიკო დავითაშვილით შეცვალა, ხოლო მოგვიანებით კოშკაძე-ბოლქვაძის დუეტსაც მისცა თამაშის საშუალება. სამივე შეცვლა გამოიყენა ჯემალ აბაშიძემაც.

პირველთან შედარებით მეორე ტაიმში ტემპმა ოდნავ იმატა, ორივე კართან მომენტებიც უფრო მეტი შეიქმნა, მაგრამ ეს, გავიმეორებთ, მხოლოდ პირველ ტაიმთან შედარებით, თორემ ამ გუნდებისგან, განსაკუთრებით „ამერისგან", გაცილებით უკეთესი და თვალსასეირო მატჩები გვახსოვს.

...არ გაუმართლა არც ოქროშიაშვილს, არც ჩანტლაძეს და ორჯერ სევასტოპულოს. მიზანთან სამივე ძალიან ახლოს იყო. კუთხურიდან ჩაწოდებულზე ჩანტლაძის თავური კარს აცდა. მატჩის ბოლოსკენ დავითაშვილის პასს სევასტოპულო გამოეხმაურა და მანაც თავურით ძალიან ახლოდან ააცილა. იქამდე კი ოქროშიაშვილმაც უხერხულად დაარტყა.

შუა ტაიმში სევასტოპულომ ზედიზედ ორჯერ შეაწუხა მასპინძლები, მაგრამ ერთ ეპიზოდში თავდამსხმელს მცველებმა უხეშად დაუფარეს, რასაც ზედ საჯარიმოს ხაზზე დანიშნული ჯარიმა მოჰყვა, ხოლო იქიდან დარტყმულს დავით ნაფეტვარიძემ პოზიცია სწორად შეურჩია და გუნდი გადაარჩინა.

# სიმღერა თელავზე: სრულდება წვიმაში

თელავი. 22 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი. 2 000 (ტევადობა 6 000)

### კახეთი 3:1 სოხუმი

0:1 სიხარულიძე (6), 1:1 დავითაშვილი (12), 2:1 კობახიძე (19), 3:1 ბურდული (59)

კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, კობაიძე (კვირკველია 69), მაღლაკელიძე, ბედოიძე, გიორგობიანი, კევლიშვილი, დ. ბურდული (კუპრაშვილი 81), არუდაშვილი, ნ. დავითაშვილი, ვ. კობახიძე (როსტიაშვილი 64)
*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, ტეტიაშვილი, სოსელია, ბიძინაშვილი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

სოხუმი: სეფიაშვილი, ამბიძე, მაჩალაძე, მოლოდინი, ჭყოიძე, ბართია, დ. კახელიშვილი (გაგნიძე 84), ხაჩიძე, ი. ჭანტურია (გურგუჩიანი 63), გაგუა (მჭედლიძე 75), სიხარულიძე
*სათადარიგო:* ჯინჭარაძე
მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: ამბიძე (78)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ვ. გუმბერიძე, ზ. გურგენაძე; შ. ქუხილავა

დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

გიორგი კაციტაძე თელავიდან

**მთელ** მატჩში ოთხი საგოლე მომენტი შეიქმნა და ოთხი გოლიც გავიდა...

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს ჰპირდებოდა: მე-6 წუთზე სოხუმელმა დავით კახელიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, სიხარულიძემ ყველას დაასწრო და თავურით გადაგზავნა ბურთი კარში — 0:1.

მასპინძლები გაშვებულმა გოლმა გამოაფხიზლა და ექვს წუთში დავით ბურდულის გამჭოლი პასით ნიკა დავითაშვილმა იხეირა — 1:1.

19-ე წუთზე კევლიშვილის მიერ წამოწყებული შეტევა ბურდულმა გააგრძელა და კობახიძემ დააგვირგვინა — 2:1.

თელაველები მეორე ტაიმშიც აქტიურობდნენ და მალევე შეეძლოთ გატანა, თუმცა მეკარეს ვერ აჯობეს.

ცოტა ხანში კოკისპირულად გაწვიმდა, მაყურებელიც გადახურულ ტრიბუნას შეეფარა და თან სიმღერა თელავზე დააგუგუნა.

59-ე წუთზე ჯარიმიდან ბედოიძემ ჩააწოდა, ბურთთან პირველი ბურდული გაჩნდა და 3:1.

თამაშის ბოლოს სტუმარი კახელიშვილი უხეშად შეცდა, ბურთი იქვე მყოფ ბურდულს მიუგორა, თუმც მეკარესთან პირისპირ გასულ თელაველს კონსტანტინე სეფიაშვილმა აჯობა.

### პრესკონფერენცია

*გოჩა ჟორჟოლიანი:* ამ წაგებით უფრო გავირთულეთ მდგომარეობა. სამი ფეხბურთელი არ გვყავდა — ჟვანია და ნადირაძე ტრავმირებულნი არიან, ნოზაძეს კი სიცხე აქვს. ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა.

*ჯემალ მახარაშვილი:* ვიცოდით, რომ ძნელი თამაში გვექნებოდა, მაგრამ მოვიგეთ და ბიჭებს მადლობას ვუხდი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლეს ლიგაში დავრჩით და ძალიან გახარებულები ვართ.

საქართველოს 17 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე

XXX ტური

22 აპრილი, შაბათი

მაღაროელი 0:0 რუსთავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 30 | 21 | 5 | 4 | 79:30 | 68 |
| მერანი | 30 | 20 | 5 | 5 | 50:21 | 65 |
| გაგრა | 30 | 17 | 9 | 4 | 42:18 | 60 |
| დინამო 2 | 30 | 16 | 7 | 7 | 52:22 | 55 |
| ამერი 2 | 30 | 14 | 7 | 9 | 37:24 | 49 |
| მესხეთი | 30 | 14 | 6 | 10 | 41:27 | 48 |
| რუსთავი | 30 | 13 | 9 | 8 | 44:28 | 48 |
| მეშაქრე | 29 | 14 | 4 | 11 | 39:29 | 46 |
| გურია | 29 | 12 | 5 | 12 | 41:38 | 41 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 30 | 11 | 5 | 14 | 37:39 | 38 |
| თბილისი 2 | 30 | 10 | 8 | 12 | 26:34 | 38 |
| ზუგდიდი | 30 | 10 | 7 | 13 | 18:26 | 37 |
| მეშახტე | 30 | 9 | 8 | 13 | 31:37 | 35 |
| მაღაროელი | 30 | 9 | 6 | 15 | 35:51 | 33 |
| ზესტაფონი 2 | 30 | 8 | 8 | 14 | 22:40 | 32 |
| საგარეჯო | 30 | 7 | 8 | 15 | 26:40 | 29 |
| იმედი | 30 | 5 | 2 | 23 | 17:74 | 17 |
| ლიახვი | 30 | 4 | 1 | 25 | 21:80 | 13 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი
უმაღლესი ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## მეორე წრე 27 ტური



# ზესტაფონს ეხუმრება, გაბელიას — არა

ზესტაფონი. 22 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური. 4 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 0:0 ბათუმი

| ზესტაფონი | ბათუმი |
|---|---|
| ზესტაფონი: გ. ჭანტურია, გ. თურმანიძე, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, ბუალავა, განუგრავა, ფიფია, იმედაძე (ბ. ნოზაძე 80), გ. ჭელიძე (ბენაშვილი 67), იონანიძე *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, ხიდეშელი, ბ. გოცირიძე, დაუშვილი, ჯანელიძე | ბათუმი: სომხიშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, ქებაძე, თ. უგრეხელიძე, გ. მანწკავა (ტიაგო 73), რ. ონიანი, სეთურიძე, რ. ჯიქია, დვალიშვილი *სათადარიგონი:* თოთლაძე, ექონია, კაკალაძე, გვაზავა, ცანავა, კუნჭულია |
| მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

მსაჯები: ლ. სილაგავა; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დირექტორი: ე. თევზაძე

**ოთარ მაღლაკელიძე ზესტაფონიდან**

„აღფრთოვანებული ვარ, ასეთი ქომაგობა ნებისმიერი გუნდისთვის და ნაკრებისთვის სანატრელია. იმედია, ოთხშაბათსაც ასეთივე სიტუაცია იქნება" — თქვა „ზესტაფონ" — „ბათუმის" შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა რალფ მინგემ. ხვალ მისი გუნდი მალტას ზესტაფონში დაუხვდება და... როგორც მავანმა გულშემატკივარმა იხუმრა, ავადმოსაგონარი „სლიმა უონდერერზის" ჯავრს აყრევინებს ზესტაფონელებს.

იმერულ-აჭარულ დაპირისპირებას კი შედარებით ცოტა მაყურებელი დაესწრო, ვიდრე წინა ზესტაფონურ შეხვედრებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ამინდიც იყო. დილიდანვე წვიმდა და მხოლოდ თამაშის დაწყებისას გადაიღო.

გულშემატკივრებზე ვთქვი და ახლა მსაჯებზეც მოგვიწევს: გვერდით ზაზა მენთეშაშვილს ფეროს ქალაქში გამორჩევით და ამოჩემებით იცნობენ. ტრიბუნაზე ისიც იხუმრეს, ეს აქ ისე ხშირადაა, ბინა ხომ არ აქვს ნაქირავებიო.

თავად მენთეშაშვილს კი სახუმაროდ სულაც არ ჰქონია საქმე — ტრიბუნების რისხვა არაერთხელ დაიმსახურა...

პირველი ტაიმიდან მხოლოდ ორი საგოლე მომენტი დაგვამახსოვრდა. მე-8 წუთზე გიორგი ჭელიძის რეიდს და საჯარიმოში ჩაწოდებულს ზურაბ იონანიძემ თავი დაჰკრა — ბურთი კარს სანტიმეტრებით აცდა. ცოტა ხანში კი ბათუმელი ვლადიმერ დვალიშვილის თავური გიორგი თურმანიძემ ცარიელი კარიდან თავითვე გამოიტანა.

შესვენების შემდეგ ტემპმაც იმატა და სახიფათო მომენტებმაც. უფრო მეტი შანსი ზესტაფონელებს მიეცათ, ძირითადად სწრაფი კონტრშეტევების ხარჯზე. მოედნის ცენტრში კი სტუმრები გაბატონდნენ და აკი მატჩის შემდეგ ფეროელთა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა თქვა, ამის მიზეზი დისკვალიფიცირებული სერგეი ნუდნის და ზურაბ ძამსაშვილის არყოფნა იყოო.

მე-80 წუთზე ჟორჟიკაშვილმა მინდორზე ბექა ნოზაძე შეუშვა და სტუმრების უპირატესობაც გაქრა. ბოლო ათი წუთი კი ფეროელებისა გამოდგა — ალექსი ბენაშვილმა, გიორგი განუგრავამ და გოგი ფიფიამ კარგი მომენტები გაატანეს ქარს — 0:0.

### პრესკონფერენცია

*ოთარ გაბელია:* გუნდის ხელმძღვანელობას მაღალი ადგილი არ მოუთხოვია. ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი გვაქვს და ალბათ ამიტომაცაა, ასე თუ ისე ნორმალურ ფეხბურთს რომ ვაჩვენებთ. გუნდს ჯერაც ვაკომპლექტებთ და ალბათ მაისიდან ოთხ-ხუთ ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ. ამ შემადგენლობასაც აუცილებლად შევინარჩუნებთ. მომდის ხმები, რომ ზოგიერთი გუნდი მალულად აპირებს ჩვენი ფეხბურთელების გადაბირებას, მაგრამ არაფერი გამოუვათ. გუნდის ბირთვს კონტრაქტის ბოლომდე ერთი წელი რჩება. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, ვიცოდი, რომ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მაინც ორი თავდამსხმელი დავაყენე. დღეს „ზესტაფონი" ყველაზე სტაბილური გუნდია და სხვებზე ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობს.

*კობა ჟორჟიკაშვილი:* ოსტატობა დაგვაკლდა და ამიტომ ვერ გავიტანეთ. არადა, ყველამ ნახა, რა აქტიურად ვუტევდით. ძამსაშვილი რომ გვყოლოდა, თურმანიძეს ცენტრში ავწევდით და გაცილებით სახიფათოც იქნებოდა მეტოქისთვის. დღევანდელმა მსაჯობამ კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ „ზესტაფონი" ამ ამბავში სუფთაა. ასე იქნება ყოველთვის.

# დილა მარცხნიდან დამარცხდა, ბურდულმა მარჯვნიდან გაიმარჯვა

თბილისი. 22 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

### დინამო 4:1 დილა

1:0 ბურდული (12), 2:0 შაშიაშვილი (36), 3:0 დვალი (39), 3:1 ტლაშაძე (69პ), 4:1 დვალი (84)

| დინამო | დილა |
|---|---|
| დინამო: სტურუა, ორბელაძე, შაშიაშვილი, ნავალოვსკი (აკობია 60) ლ. ნოზაძე, გიგაური, ამბროზიო (გ. მერებაშვილი 23), ლ. ბურდული, ს. კობახიძე, ჯ. დვალი, მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 80) *სათადარიგონი:* ლორია, ქემოკლიძე, კ. მახარაძე, ახალაია | დილა: გეგეშიძე, გალოგრე, გვარუციძე, ხაჭიპერაძე, ლ. კობახიძე (შატაკიშვილი 46), კუტალია (დ. ნადირაძე 46), ზ. ჭელიძე, ტლაშაძე, გ. ლაცაბიძე, ალ. ლაბაძე (კურტანიძე 46), ლ. თურმანიძე *სათადარიგონი:* ილურიძე, მასურაშვილი, ფირანიშვილი |
| მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი | მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე |

გაფრთხილება: ბობოხიძე (87), დვალი (89)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. გიგაშვილი

დამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე

**ილია ნანობაშვილი**

**კაცმა** რომ თქვას, არაფრით გამორჩეულ მატჩს ველოდით, „დინამოს" უნდა მოეგო, ასეც მოხდა და დიდი ანგარიშიც არ გაგვკვირვებია, მაგრამ „მიხეილ მესხზე" გატარებული 90 წუთი განსაკუთრებით ლადო ბურდულმა გაახალისა. „დინამოს" მერვე ნომერი იმდენად გამორჩეული იყო მინდორზე და ჩვეული იმპროვიზაციაც იმდენჯერ გაურია, რომ სტადიონზე მისვლა ნაღდად არ უნანიათ გულშემატკივრებს.

ერთი პირადად ჩაწერილი და ორიც თანაგუნდელებისთვის გაჩარხული გოლი — ბურდული იმ ფორმას უბრუნდება, ივო შუშაკის დროინდელ „დინამოში" რომ ჰქონდა. მე-12 წუთზე ლადომ ლაშა ნოზაძის ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ მკერდზე გაიჩერა ბურთი და 10-12 მეტრიდან მეკარე კახა გეგეშიძე უშანსოდ დატოვა — 1:0. ეს იყო დინამოელთა პირველი საგოლე მომენტი და ისიც გოლით დალაზათდა.

პირველი ტაიმის შუაწელს კი ბრაზილიელმა ამბროზიომ ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად გიორგი მერებაშვილი გამოვიდა, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე ბურდულს ფეხი კარგად აუწყო და „დინამოს" მესამე გოლიც მის ჩაწოდებულს მოჰყვა — მერებაშვილმა თავზე დაასვა ბურთი ჯაბა დვალს და მანაც ლურსმანივით ჩააჭედა კარში — ასე გახდა 3:0, მანამდე სამი წუთით ადრე კი ბურდულის ჩახვეული საჯარიმოს შემდეგ „დილას" მეკარემ ძლივს გამოიტანა ბურთი კარიდან და გიორგი შაშიაშვილმა ორიოდ მეტრიდან დაამატა.

საერთოდ, ტაიმის მიწურული „დინამომ" შტურმში გალია, დვალის ნახევარბრუნით დარტყმა და დვალ-მეგრელაძის ზედიზედ გაცუდებული მომენტები როგორ არ იქცა გოლად, საკვირველი იყო...

თავისი წილი ჩხვლეტები გორის „დილასაც" ჰქონდა, როცა ჯერ ლაშა თურმანიძემ ნაკუთხურალზე თავური ოდნავ ააცილა, მერე კი ალექსანდრე ლაბაძემ ზვიად სტურუას ვერ გადააცილო ბურთი თავზე.

მეორე ნახევარში „დინამო" ისევ გასატანად იწევდა, ოღონდ შეტევებს ეშხი მოაკლდა — მერებაშვილის დარად, აქტიური იყო მარცხენაფლანგელი სანდრო კობახიძე, ბურდული კი ისევ ბურდულობდა და „დილა" მის შეჩერებას ვერ ახერხებდა, თუმცა გოლს მაინც ელირსნენ გორელები: 69-ე წუთზე ზვიად სტურუამ თითქმის უხიფათო მომენტში წააქცია ლაშა თურმანიძე და დავით ტლაშაძემ პენალტით სხვაობა შეარბილა — 1:3.

„დინამო" არ მოეშვა, სამბურთიანი თამასას ხელიდან გაშვება არ ისურვა და ისევ ბურდული... ლადომ 25-30 მეტრიდან მოჭრა საჯარიმო, ბურთმა ჰაერში მოხაზა რკალი და ძელს მოხვდა, იქიდან გადმოვარდნილი კი დვალმა ცარიელ კარში შეაგორა და 4:1.

ანდრეი ჩერნიშოვის გუნდისთვის ავრორასავით გაისროლა იმერულმა ფრემ: „ზესტაფონი" — „ბათუმი" სწორედ მისთვის სასურველი ანგარიშით დასრულდა და მესამე ადგილზეც წამოსკუპდა...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 27 | 20 | 4 | 3 | 46:17 | 64 |
| ვიტ ჯორჯია | 27 | 19 | 4 | 4 | 49:15 | 61 |
| დინამო | 27 | 17 | 4 | 6 | 48:20 | 55 |
| ზესტაფონი | 27 | 16 | 7 | 4 | 38:19 | 55 |
| ბათუმი | 27 | 16 | 6 | 5 | 38:17 | 54 |
| ბორჯომი | 27 | 17 | 2 | 8 | 46:24 | 53 |
| ამერი | 27 | 15 | 3 | 9 | 32:21 | 48 |
| ლოკომოტივი | 27 | 10 | 4 | 13 | 37:43 | 34 |
| კახეთი | 27 | 9 | 3 | 15 | 31:43 | 30 |
| კოლხეთი | 27 | 8 | 5 | 14 | 22:29 | 29 |
| ცხინვალი | 27 | 8 | 3 | 16 | 27:52 | 27 |
| ტორპედო | 27 | 7 | 6 | 14 | 26:35 | 27 |
| დილა | 27 | 7 | 4 | 16 | 29:41 | 25 |
| თბილისი | 27 | 6 | 2 | 19 | 21:43 | 20 |
| სოხუმი | 27 | 5 | 3 | 19 | 24:58 | 18 |
| სპარტაკი | 27 | 3 | 6 | 18 | 10:48 | 15 |

ნდობის ტელეფონი
(18 წლიდან)
(822) 42-55-44
822 006 005
822 006 099
თბილისი - 0,65 ლ



# რალფ მინგეს საპასუხო სია



**ეროვნული** ჩემპიონატის 27-ე ტურის შემდეგ რალფ მინგემ ახალგაზრდული ნაკრების ის შემადგენლობა გამოაქვეყნა, რომლითაც 26 აპრილის მატჩისთვის მზადება დაიწყო — ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ზესტაფონში მალტელ თანატოლებს უმასპინძლებს.

საპასუხო მატჩისთვის მინგეს სია ასეთია:

*მეკარეები:* ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), დავით ლორია (დინამო);

*მცველები:* აკაკი ხუბუტია (ვილნიუსი, ლიტვა), გიორგი ფოფხაძე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), გიორგი სეთურიძე (ბათუმი);

*ნახევარმცველები:* გიორგი ნავალოვსკი, გიორგი მერებაშვილი (ორივე დინამო), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), მირზა ბუალავა, გიორგი განუგრავა, გოგი ფიფია, ალექსი ბენაშვილი (ყველა ზესტაფონი), რევაზ გეწაძე (ბორჯომი);

*თავდამსხმელები:* ნიკა გელაშვილი (ვიტ ჯორჯია), გიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა).

მატჩი ზესტაფონში 15 საათზე დაიწყება.

**ნიკა ჯორჯაძე**

# მალტის თვრამეტიანი

**მალტის** ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა მარკ მილერმა 18-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

ევრო 2007-ის შესარჩევი ციკლის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა ხვალ ზესტაფონში გაიმართება. მატჩის მთავარი მსაჯი კი მოლდოველი ვიაჩესლავ ბანარი იქნება.

მალტელთა შემადგენლობა თითქმის იგივეა, როგორც ორი კვირის წინ იყო, როცა ქართველებმა სტუმრად იმარჯვეს 2:1.

*მეკარეები:* ენდრიუ ჰოგი (პიეტა), ბერნარდ პარისი (ბირკირკარა);

*მცველები:* ედმონდ აგიუსი, კლეიტონ ფაილა (ორივე ჰიბერნიანსი), სრევენ ბეზინა (ვალეტა), დევიდ კამენზული, დეან გერა (პიეტა), ჯონათან კარუანა (მოსტა), იოზეფ მიფსუდი (მსიდა), ალექს მუსკატი (სლიმა)

*ნახევარმცველები:* ანდრეი აგიუსი (მესინა, იტალია), მეტიუ ბარტოლო, დეისონ ფალზონი (ორივე მოსტა), პაულ ფენეჩი (მსიდა), ჯულიან ველა (ჰიბერნიანსი);

*თავდამსხმელები:* რაიან ფენეჩი (ჰამრუნი), კლივენ ფრენდო (მარსაქსლოკი), იან ზამიტი (ვალეტა).

**ილია ნანობაშვილი**

# ასათიანის პატარა დაბრუნება

**დაახლოებით** ორთვიანი პაუზის შემდეგ მალხაზ ასათიანი მოედანზე დაბრუნდა — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდში ერთი ტაიმი ითამაშა და ტკივილსაც არ შეუწუხებია.



პატარა რკინიგზელებმა უცნაური ანგარიშით, 5:6 წააგეს ყაზანის „რუბინის" დუბლ-შემადგენლობასთან, რომელშიც ბოლო ნახევარი საათი კიდევ ერთმა ჩვენებურმა, ზურაბ არზიანმა ითამაშა.

გამოჯანმრთელებული ასათიანი კი უკვე ძირითად გუნდთან ვარჯიშობს და დიდი შანსია, პრემიერლიგის მომდევნო ტურში რამდენიმე წუთი ითამაშოს.

**კახა შალამბერიძე**

# აქვსენტი ფალავან!

აქვსენტი გილაური ირანის ჩემპიონია — თექვსმეტგუნდა სპარსული ლიგის ბოლო ტურში გილაურის „ესტეგლალმა" „შირაზს" 4:1 მოუგო და ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარ „პასს". გილაურმა „შირაზთან" 90 წუთი ითამაშა, ხოლო ამ სეზონში ოთხი გოლი გაიტანა.

— „შირაზთან" თამაშს თეირანში 120 000 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, დაახლოებით 50 ათასი კი სტადიონზე ვერ შემოვიდა. თამაშის შემდეგ ჩემპიონობა რესტორანში აღვნიშნეთ. ოქროს მედლები სტადიონზე დაგვირიგეს, კლუბმა კი იმავე დღეს ფულადი პრემიებით დაგვასაჩუქრა — გვითხრა გუშინ გილაურმა.

ირანში კიდევ ერთი ქართველი თამაშობს — ჯაბა მუჯირის „სეპაჰანი" მე-7 ადგილზე გავიდა.

**დავით თავართქილაძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | მესინა 3:1 | 90 | | 25 | 2 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ვერდერი 0:0 | 90 | | 29 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | არმინია 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 14 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ზიგენი 2:2 | 90 | | 24 | 4 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ზიგენი 2:2 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ბრაუნშვაიგი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 4 | 7 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ოსნაბრიუკი 0:2 | 90 | | 23 | 2 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | კიკერსი 1:1 | 39 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 12 | 7 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ბირმინგემი 1:2 | 90 | | 23 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | შ | სენტ გალენი 3:1 | 0 | | 6 | 3 | 1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი. პლეი ოფი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | გრონინგენი 2:1 | 90 | 1 გოლი | 30 | 23 | |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | | | |
| ლევან მელქაძე | ვოლერენგა | შ | რუსენბორგი 0:0 | 0 | | 2 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | რუბინი 4:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | რუბინი 4:4 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 12 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | რუბინი 4:4 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | ს | ლოკომოტივი 4:4 | 0 | | 5 | 0 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ლოკომოტივი 4:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ლოკომოტივი 4:4 | 90 | | 5 | 0 | 2 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ლოკომოტივი 4:4 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ლოკომოტივი 4:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | ს | ლუჩ-ენერგია 0:2 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | დინამო 1:0 | 70 | შეცვალეს | 5 | 3 | 3 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | შ | ტორპედო 2:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 13 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | ზენიტი 1:1 | 62 | შეცვალეს | 4 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | მეტალურგი 3:0 | 0 | | 3 | 1 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ხარკოვი 3:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ხარკოვი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ილიჩევეცი 2:1 | 0 | | 8 | 2 | 7 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | ილიჩევეცი 2:1 | 90 | | 7 | 0 | 7 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | სტალი 1:1 | 0 | | 20 | 6 | 6 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | კრივბასი 0:1 | 90 | | 17 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | კრივბასი 0:1 | 90 | | 7 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | ვერ გაიტანა პენალტი | 23 | 7 | 12 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | შ | მ. დონეცკი 3:0 | 90 | | 7 | 0 | 8 |
| ირაკლი ქორთუა | ტავრია | შ | მ. დონეცკი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | ზაკარპატიე 2:1 | 45 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 7 | 0 | 15 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | მეტალისტი 1:1 | 90 | | 24 | 2 | 14 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 5 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 90 | | 2 | 0 | 5 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| თამაზ პერტია | დიტონი | ს | მეტალურგსი 0:0 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 0 | 0 | 1 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | ქაისარი 2:1 | 0 | | 2 | 0 | 9 |
| ზვიად ჯელაძე | ვოსტოკი | შ | ქაისარი 2:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 9 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | კაირატი 0:0 | 90 | | 2 | 0 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

## ვილიარეალი (ესპანეთი) – არსენალი (ინგლისი) (0:1)

ვილიარეალი. „ელ მადრიგალი". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

ვიერა — ხავი ვენტა, არზო, კიკე ალვარესი, არუაბარენა — სენა, ხოსიკო, რიკელმე, სორინი — ხოსე მარი, ფორლანი

ლემანი — ებუ, კემპბელი, ტურე, ფლამინი — ჰლები, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, რეიესი, ლიუნგბერგი — ანრი

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| ალესიო ტაკინარდი (1 მატჩი) | არავინ |

| ვილიარეალის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი — სოსიედადი | 0:2 | პდ |
| ვილიარეალი — დეპორტივო | 1:1 | პდ |
| ვილიარეალი — ინტერი | 1:0 | ჩლ |
| ვილიარეალი — ბეტისი | 1:2 | პდ |
| ვილიარეალი — ატლეტიკო | 1:1 | პდ |
| ვილიარეალი — რეინჯერსი | 1:1 | ჩლ |
| ვილიარეალი — ალავესი | 3:2 | პდ |
| ვილიარეალი — ესპანიოლი | 4:0 | პდ |
| ვილიარეალი — კადისი | 1:1 | პდ |
| ვილიარეალი — ოსასუნა | 2:1 | პდ |

პდ — პრიმერადივიზიონი, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა

| არსენალის ბოლო ათი მატჩი სტუმრად | | |
|---|---|---|
| პორტსმუთი — არსენალი | 1:1 | პლ |
| მანჩესტერი — არსენალი | 2:0 | პლ |
| იუვენტუსი — არსენალი | 0:0 | ჩლ |
| ფულემი — არსენალი | 0:4 | პლ |
| ბლექბერნი — არსენალი | 1:0 | პლ |
| რეალი — არსენალი | 0:1 | ჩლ |
| ლივერპული — არსენალი | 1:0 | პლ |
| ბირმინგემი — არსენალი | 0:2 | პლ |
| ბოლტონი — არსენალი | 1:0 | ათ |
| ევერტონი — არსენალი | 1:0 | პლ |

პლ — პრემიერლიგა, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ათ — ასოციაციის თასი

# არსენალი გოლს სათოფეზე არ იკარებს

„ვილიარეალის" მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ „სოსიედადთან" თითქმის ყველა ძირითადი ფეხბურთელი დაასვენა — ლიგის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ „ყვითლები" მთავარი ხალხის ტრავმიანობას მოერიდნენ. სათადარიგო ფეხბურთელებით კი „ვილიამ" ბასკებთან შეხვედრა 0:2 წააგო, თუმც პელეგრინის უმთავრესი ჩანაფიქრი, რიკელმესა და კომპანიას კარგად დაესვენა და „არსენალთან" მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვედროდა, შესრულებულია.

„ვილიარეალს" დღეს „მადრიგალზე" ყველა მეომარი მწყობრში ეყოლება, გარდა სანქცირებული ალესიო ტაკინარდისა. ხუანმა პენიამ, კიკე ალვარესმა და როდოლფო არუაბარენამ ტრავმები მოირჩინეს და სავარაუდოდ, „მეთოფეებთან" ბრძოლას შეძლებენ. რიკელმესაც კუნთი აწუხებდა, თუმცა, „მარკას" ცნობით, არგენტინელი გამოჯანმრთელდა და „არსენალთან" ითამაშებს. ესპანელ ფეხბურთელებს „ჰაიბერიზე" ნაწვენი მარცხის დავიწყება სურთ და აცხადებენ, რომ „ელ მადრიგალის" მატჩი არსენ ვენგერის შეგირდთათვის უმძიმესი იქნება. „მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ, გუნდმა ნახევარფინალამდე მიაღწია და ახლა ინჩასების იმედების დამსხვრევა დანაშაულია. ყველანაირად ვეცდებით, რომ „არსენალმა" გოლი არ გაგვიტანოს. ასეთ შემთხვევაში ალბათ ფიასკო გველის" — აღნიშნა კიკე ალვარესმა.

ინგლისელებმა პირველ მატჩში კოლო ტურეს გოლის წყალობით გაიმარჯვეს. ის თამაში მრავლისმნახველ „ჰაიბერზე" „არსენალისთვის" ბოლო საევროტურნირო იყო და ვენგერის ბიჭებმაც ასიამოვნეს თავისი გულშემატკივრები. „არსენალს" „მადრიგალზე" სავარაუდოდ, ფილიპ სენდეროსი არ ეყოლება. შვეიცარიელმა მცველმა „ტოტენჰემთან" პრემიერლიგის მატჩში ტრავმა მიიღო.

„დღეს ჩვენი გუნდის საქმეები კარგად მიდის. ფინალში გასვლას ვიმსახურებთ, თუმცა ვიცი, რომ „ვილიარეალი" მოსაგებად თავს არ დაზოგავს" — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა.

„არსენალი" საამსეზონო ლიგაში ყველაზე სტაბილური დაცვის ხაზით გამოირჩევა. ლონდონელებს 829 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვიათ, ეს კი ძალიან ცუდია „ვილიარეალისთვის", რადგან აქამდე, ასე ცოტა გოლების გამტან გუნდს ლიგის ისტორიაში ნახევარფინალამდე არ მიუღწევიათ...

კასტელონიურ „ელ მადრიგალზე" ჯერ არც ერთ ინგლისურ გუნდს არ მოუგია. „ვილიარეალი" ლიგაში პირველადაა და ნახევარფინალას უწია. „არსენალს" კი თავის დროზე ორჯერ აქვს წაგებული ესპანურ გუნდებთან თასების თასის ფინალები — 1980-ში „ვალენსიასთან" და 1994 წელს „სარაგოსასთან". ეს ბოლო შეხვედრა „მეთოფეებმა" პარიზში დათმეს, იმ მშვენიერ პარიზში, სადაც 17 მაისს ახლა სალიგო ფინალი ელოდებათ... თუ „სიყვითლე" არ შეეყარათ, რა თქმა უნდა.

**ლადო ხომერიკი**



ალესიო ტაკინარდი (მარცხნივ) მასპინძლებს ვერ დაეხმარება

# ანრის ბიუჯეტებს სთავაზობენ




რის „ბარსელონა და რა „არსენალში" დარჩენაო: მადრიდის „რეალი" აცხადებს, რომ კვირაში 135 ათას გირვანქას გადაუხდის ტიერი ანრის და მას ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელად აქცევს.

„არსენალი" კვლავაც ამბობს, რომ ისეთ კონტრაქტს სთავაზობს ანრის, როგორიც არასდროს შეუთავაზებია ვინმესთვის, მაგრამ ეს კონტრაქტი თავისი ფულით ვერ უტოლდება ესპანური გრანდების შემოთავაზებას.

მადრიდელები ანრის აგენტ ჟერომ ანდერსონს ელაპარკნენ და სწორედ ამ ხელფასით ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ანრი „რეალში" წასვლას თუ გადაწყვეტს, მისი კვირეული ჯამაგირი არა მხოლოდ დევიდ ბექემის ყოველკვირეულ 90 ათასს გაუსწრებს, არამედ „ჩელსის" მიერ მიხაელ ბალაკისთვის შეთავაზებულ 121 ათას კვირეულ გირვანქასაც.

ანდერსონს კი მადრიდელებისთვის უთქვამს, რომ ანრი მხოლოდ იმ თვეში მიიღებს გადაწყვეტილებას და ახლა მასთან რაიმეს განსჯას აზრი არ აქვს. თავის მხრივ, არსენ ვენგერს სჯერა, რომ ანრი მასთან დარჩება. „ბარსელონაში" კი აცხადებენ, რომ ზეპირი პირობა აქვთ ანრისგან, რომ ახალი სეზონიდან ის კატალონიაში გადავა.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

რეკლამა
სარბიელ—ში
38-11-14, 877 54 55 00

# უცებ და ისევ სკოლარი

მოულოდნელად დაიძაბა ვითარება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ნაკრების ახალი მენეჯერის შემრჩევ კომისიაში. პარასკევს გამართულმა სხდომამ ფავორიტი ვერ გამოავლინა.

„მიდლსბროს" მწვრთნელ სტივ მაკლარენს კვლავაც მეტი მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ კომისიის ერთ-ერთი წევრი, „არსენალის" ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი თავს იკლავს, რათა სვენ გორან ერიკსონის შემდეგ ნაკრები ბრაზილიელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ჩააბარონ. სხვები კი ბრიტანელ მწვრთნელს ამჯობინებენ და თანაც, თუ ასოციაციის შეფი ბრაიან ბერვიკი უფრო ჩრდილოირლანდიელ მარტინ ონილისკენ იხრება, საბოლოო ჯამში ისიც მაკლარენს მისცემს ხმას. მაგრამ დინი მტკიცედ დგას. ეს სწორედ ის კაცი გახლავთ, ვინც ასოციაციის წინა შეფს ადამ კროზიეს ინგლისში პირველი უცხოელი, ერიკსონი დაანიშვნინა და ახლაც უცხოელს ითხოვს.

ხალხის განწყობა იმგვარადაა შემზადებული, რომ მათაც უფრო ბრიტანელი უნდათ, თანაც არამხოლოდ უნდათ, არამედ იციან, რომ ახალი მენეჯერი სტივ მაკლარენი იქნება, პარასკევის სხდომა კი სრული მოულოდნელობა იყო. დინი თავისას არ იშლის. საბოლოო გადაწყვეტილება კი ოთხი მაისისთვის მაინც უნდა გამოცხადდეს, როცა ორი კანდიდატი, რომელთა შორის ერთი აშკარა ფავორიტი იქნება, ასოციაციის საბჭოს უნდა წარუდგინონ.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## F ჯგუფი

## ბრაზილია, ხორვატია ავსტრალია, იაპონია

# ვარსკვლავები გემოვნებით



რონალდო და პარეირა

**სადღაა** ის პრობლემები, ბრაზილიის ნაკრებს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რომ ჰქონდა?! მაშინ ოთხგზის გვირგვინოსნები იაპონია-კორეაში გამართულ მუნდიალზე გვარიანი წვალების შედეგად მოხვდნენ, მაგრამ ფინალურ ეტაპზე გაიმარჯვეს, მეხუთედ მოიპოვეს პლანეტის ჩემპიონის ტიტული და ამ ტრიუმფს 2004 წელს ზედ „კოპა ამერიკა", ხოლო 2005 წელს ფიფას კონფედერაციათა თასიც დაამატეს. მოკლედ, ბრაზილიის ნაკრები ბოლო წლებში საგანგებო სიძლიერის გუნდად იქცა, რომელმაც გერმანია 2006-ის საგზურიც წელში გამართულმა მოიპოვა.

რითაა კარლოს ალბერტო პარეირას გუნდი გამორჩეული? ამ კითხვაზე ტრაფარეტული პასუხი ასეთი გახლავთ: დღევანდელ ბრაზილიის ნაკრებში ჰარმონიულადაა შერწყმული ახალგაზრდათა ნიჭი და ვეტერანთა გამოცდილება. ხაზგასმით უნდა ითქვას, ეს პასუხი აბსოლუტურად სწორია, მაგრამ ასე დაბალანსებული გუნდი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ 32-ს, ასევე მის გარეთ დარჩენილებს შორის, ბევრია და მათგან ბრაზილიასთან ბარე ორი ვერ მივა ახლოს. მაშ, რა არის მთავარი? ნიჭი, ბრაზილიელთავის ჭარბად ბოძებული ბურთაობის უნარი! გავიხსენოთ, რომ ბრაზილიის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომლის გარეშეც მსოფლიოს ერთ ჩემპიონატსაც არ ჩაუვლია.

თუმცა, დავუბრუნდეთ გერმანია 2006-ის შესარჩევს და ყოველ შემთხვევაში გავიხსენოთ, რომ ამ მუნდიალზე, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, მოქმედი ჩემპიონი ავტომატურად არ დაუშვეს. თუმცა დღევანდელი ბრაზილიისთვის ეს დიდი უბედურება არ ყოფილა, რაც სტატისტიკითაც იოლად მტკიცდება: 18 თამაშიდან 9 მოგება და 7 ფრე, 35 გატანილი და 17 გაშვებული გოლი, პლუს 10 გოლით რონალდო შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ცნობისათვის: შესარჩევ შეჯიბრებაში ნაწვნევი ორი მარცხიდან საშინაო ერთიც არ ყოფილა, მაგრამ, ვინაიდან სიტყვა წაგებაზე ჩამოვარდა, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ეკვადორთან 0:1-ზე მწარე გახლდათ 1:3 არგენტინასთან, რომლის გამოც ბრაზილიელებმა არგენტინელებზე შური მალე იძიეს — კონფედერაციათა თასის ფინალში 4:1 სძლიეს მოქიშპეს.

* * *

*მწვრთნელი:* კარლოს ალბერტო გომეშ პარეირას ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრებმა 1994 წელს მეოთხედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს გახლდათ საეტაპო მოვლენა ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში, ვინაიდან ამ ქვეყნის ნაკრებს მუნდიალზე ბოლოს 1970 წელს გაემარჯვა, 94-ის შემდეგ კი ქვეყანაში დიდ ვარსკვლავთა ახალი ტალღა წამოვიდა. პარეირა 1943 წლის 7 თებერვალსაა დაბადებული. კარიერის განმავლობაში მან მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა ოთხი ქვეყნის ეროვნული გუნდი: ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბრაზილია და საუდის არაბეთი. ამ მაჩვენებლით იგი მხოლოდ „ხუთქვეყნიან" ბორა მილუტინოვიჩს ჩამოუვარდება.

* * *

*კაპიტანი:* კახა კალაძის თანაგუნდელი, „მილანის" მარჯვენა მცველი კაფუ ყველა მონაცემით ღირსია, ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი რომ იყოს. ეს კი არა, ის რომ არ იყოს, სირცხვილიც იქნებოდა, რადგან ამ ადამიანს, რომელსაც 7 ივნისს 36 წელი უსრულდება, ორჯერ აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოპოვებული, სულ კი გერმანია 2006 მისთვის მეოთხე მუნდიალი იქნება. ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, რომ კაფუ, რომლის სრული სახელია მარკოს ევანგელისტა დე მორაეში, ბრაზილიის ნაკრების ყველა დროის მოთამაშეთა შორის თამაშების რაოდენობით პირველი იყოს — 141. წარმოშობით კაფუ სან პაულუდან არის და, ცხადია, კარიერაც „სან პაულუში" დაიწყო, რომელთან ერთადაც 1992 და 1993 წლებში კოპა ლიბერტადორესი მოიგო. „სან პაულუდან" კაფუ ესპანურ „სარაგოსაში" გადავიდა და თასების თასი მოიგო, შემდეგ დაბრუნდა ბრაზილიაში, „პალმეირასში", იქიდან „რომაში" გადავიდა და ბოლოს „მილანს" მიადგა.

* * *

ვარსკვლავი, გნებავთ, შესარჩევისა და გნებავთ, თანამედროვეობისა, თავად დაასახელეთ გემოვნების მიხედვით.

* * *

*ლეგენდა:* პელე ანუ ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ დაიბადა 1940 წლის 23 ოქტომბერს. ვინაიდან მისი საფეხბურთო ამბების შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, სხვა ამბებს შეგახსენებთ: პელე ამბობს, რომ მისი ცხოვრების საუკეთესო მეგობარი გახლდათ უფროსი კაცი, ლორან სტეინბერგი, რომელიც 108 წლისაა და დღესაც ცოცხალია. პელეს ჰყავდა ორი ცოლი, როზმარი და ასირა. პირველთან ცხოვრობდა 1966-1978 წლებში, მეორესთან კი 1994 წელს იქორწინა. ორივე ქალთან პელეს ორ-ორი შვილი ჰყავს. ის გახლავთ პირველი სპორტსმენი, რომელიც ვიდეოთამაშის გმირად აქციეს. პელე იყო ერთ-ერთ პირველ ზანგთაგანი, ჟურნალმა „ლაიფმა" ყდაზე რომ აღბეჭდა. ის, როგორც პატივცემული პიროვნება „ბრაზილიის გრან პრიზე" რამდენჯერმე დაუყენებიათ ფინიშის ხაზთან ალმით, რათა ბოლიდებისთვის რბოლის დამთავრება ენიშნებინა, თუმცა 2002 წელს მას გამარჯვებული, მიხაელ შუმახერი გამორჩა და ალმის ქნევა სხვა პილოტის, ტაკუმა სატოს ფინიშის შემდეგ დაიწყო... საბედნიეროდ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა გამარჯვება მაინც შუმახერს მიანიჭეს.

* * *

**+** უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულ ვარსკვლავთა, მეტადრე კი შემტევთა სიჭარბე, რასაც მთელი გუნდის საუცხოო ფიზიკური ფორმა ემატება.

* * *

**—** ამდენი ვარსკვლავი ზედმეტი ხომ არ არის? დაცვა მაღალ ბურთებზე იშვიათად, მაგრამ მაინც უშვებს უხეშ შეცდომებს და განაპირა მცველებმა შეტევაში წასვლის დროს შესაძლოა თუნდაც წამით ზურგი მოაშიშვლონ.

* * *

*აზრი:* TV GLOBO-ს ჟურნალისტი ფლავიო ორო: „ბრაზილიელ ფეხბურთელთა დღევანდელი თაობა მეტად ლამაზად თამაშობს, იქნებ ასე ლამაზად ბრაზილიის ნაკრებს არასდროს უთამაშია. თუ კარგ ფორმაში იქნება, განსაკუთრებულ როლს რონალდო ითამაშებს. მას შეუძლია, საუკეთესო ბომბარდირი გახდეს და მესამე ტიტულით პელეს გაუტოლდეს".



კაფუ



## ბრაზილიის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 13 ივნისი | ბრაზილია — ხორვატია | ბერლინი |
| 18 ივნისი | ბრაზილია — ავსტრალია | მიუნხენი |
| 22 ივნისი | იაპონია — ბრაზილია | დორტმუნდი |

## ბრაზილიის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 07.09.2003 | კოლუმბია — ბრაზილია | 1:2 |
| 10.09.2003 | ბრაზილია — ეკვადორი | 1:0 |
| 16.11.2003 | პერუ — ბრაზილია | 1:1 |
| 19.11.2003 | ბრაზილია — ურუგვაი | 3:3 |
| 31.03.2004 | პარაგვაი — ბრაზილია | 0:0 |
| 02.06.2004 | ბრაზილია — არგენტინა | 3:1 |
| 06.06.2004 | ჩილე — ბრაზილია | 1:1 |
| 05.09.2004 | ბრაზილია — ბოლივია | 3:1 |
| 09.10.2004 | ვენესუელა — ბრაზილია | 2:5 |
| 13.10.2004 | ბრაზილია — კოლუმბია | 0:0 |
| 17.11.2004 | ეკვადორი — ბრაზილია | 1:0 |
| 27.03.2005 | ბრაზილია — პერუ | 1:0 |
| 30.03.2005 | ურუგვაი — ბრაზილია | 1:1 |
| 05.06.2005 | ბრაზილია — პარაგვაი | 4:1 |
| 08.06.2005 | არგენტინა — ბრაზილია | 3:1 |
| 04.09.2005 | ბრაზილია — ჩილე | 5:0 |
| 09.10.2005 | ბოლივია — ბრაზილია | 1:1 |
| 12.10.2005 | ბრაზილია — ვენესუელა | 3:0 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 18 | 9 | 7 | 2 | 35:17 | 34 |
| არგენტინა | 18 | 10 | 4 | 4 | 29:17 | 34 |
| ეკვადორი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:19 | 28 |
| პარაგვაი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:23 | 28 |
| ურუგვაი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:28 | 25 |
| კოლუმბია | 18 | 6 | 6 | 6 | 24:16 | 24 |
| ჩილე | 18 | 5 | 7 | 6 | 18:22 | 22 |
| ვენესუელა | 18 | 5 | 3 | 10 | 20:28 | 18 |
| პერუ | 18 | 4 | 6 | 8 | 20:28 | 18 |
| ბოლივია | 18 | 4 | 2 | 12 | 20:37 | 14 |

# მერსონის დიაგნოზი: მაურინიუ კომპლექსიანია

## ინგლისი

### ასოციაციის თასი ნახევარფინალი

**ჩელსი 1:2 ლივერპული**

0:1 რიისე (21), 0:2 ლუის გარსია (53), 1:2 დროგბა (70)

**მიდლსბრო 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 ჰერვუდი (78)

### პრემიერლიგა XXXVI ტური

**ბოლტონი 4:1 ჩარლტონი**

1:0 ვაზ ტე (14), 2:0 კევინ დევისი (20), 3:0 ბორგეტი (31), 3:1 დ. ბენტი (763), 4:1 კევინ დევისი (89)

**ევერტონი 0:0 ბირმინგემი**

**ნიუკასლი 3:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 სოლანო (30), 2:0, 3:0 ამეობი (403, 90)

**პორტსმუთი 2:1 სანდერლენდი**

0:1 ტ. მილერი (70), 1:1 ს. ტოდოროვი (73), 2:1 მეთიუ ტეილორი (883)

**არსენალი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 რობი კინი (66), 1:1 ანრი (84)

**ფულემი — უიგანი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 28 | 4 | 3 | 69:21 | 88 |
| მანჩესტერი | 35 | 24 | 7 | 4 | 68:31 | 79 |
| ლივერპული | 35 | 22 | 7 | 6 | 49:22 | 73 |
| ტოტენჰემი | 36 | 17 | 11 | 8 | 51:36 | 62 |
| არსენალი | 35 | 17 | 7 | 11 | 58:28 | 58 |
| ნიუკასლი | 36 | 16 | 6 | 14 | 46:42 | 54 |
| ბლექბერნი | 35 | 16 | 6 | 13 | 46:42 | 54 |
| ბოლტონი | 35 | 14 | 10 | 11 | 47:39 | 52 |
| უიგანი | 35 | 15 | 6 | 14 | 42:45 | 51 |
| ვესტ ჰემი | 35 | 14 | 7 | 14 | 49:52 | 49 |
| ჩარლტონი | 36 | 13 | 8 | 15 | 41:49 | 47 |
| ევერტონი | 35 | 13 | 6 | 16 | 29:45 | 45 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 7 | 15 | 47:55 | 43 |
| სიტი | 34 | 12 | 4 | 18 | 40:41 | 40 |
| ასტონ ვილა | 35 | 9 | 12 | 14 | 39:50 | 39 |
| ფულემი | 34 | 11 | 6 | 17 | 43:55 | 39 |
| პორტსმუთი | 36 | 9 | 8 | 19 | 34:58 | 35 |
| ბირმინგემი | 36 | 8 | 9 | 19 | 28:49 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 7 | 8 | 21 | 29:55 | 29 |
| სანდერლენდი | 34 | 2 | 5 | 27 | 21:61 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 23 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 21 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 18 |

### XXXVII ტური

29-30 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | ნიუკასლი |
| ჩარლტონი | : | ბლექბერნი |
| ჩელსი | : | მანჩესტერი |
| ლივერპული | : | ასტონ ვილა |
| სიტი | : | ფულემი |
| მიდლსბრო | : | ევერტონი |
| სანდერლენდი | : | არსენალი |
| ტოტენჰემი | : | ბოლტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ვესტ ჰემი |
| უიგანი | : | პორტსმუთი |



იონ არნე რიისე

**კარგად** გახასხასებულ „ოლდ ტრეფორდზე“ „ლივერპული“ და „ჩელსი“ ერთმანეთს შეხვდნენ და ასოციაციის თასის ნახევარფინალი ითამაშეს. ორი საათის თავზე გაირკვა, რომ ჟოზე მაურინიუ, ასე ნანატრ და სახალხოდ ნაოცნებარ დუბლს ველარ მოახერხებს. „ლივერპული“ კი უკვე მერამდენედ ამარცხებს „ჩელსის“.

როგორც პოლ მერსონმა თქვა მაურინიუს ყოველთვის ექნება „ლივერპულის“ კომპლექსი, რადგან შარშანდელი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალმა მას ღრმა კვალი დაამჩნია. თამაშის პირველ ნახევარში ჰარი კიუელმა და პეტერ კროუჩმა „ჩელსის“ განთქმული მკეტავები დატანჯეს, გოლი კი რიისემ გაიტანა, მახვილგონივრულად გათამაშებული თავისუფალის შემდეგ.

მეორე ტაიმში, ჩელსელი მცველების ზედიზედ ორ უვარგის თავურს, კოხტად შეეგება ლუის გარსია და საქმეც თითქმის მოათავა, მაგრამ დროგბას გოლმა, დაფისა და კოულის გამოჩენამ „ჩელსი“ ძალიან გამოაცოცხლა.

თამაშის შემდეგ მაურინიუ ხასიათზე ვერ იყო და თქვა: „ასეთ მატჩებში ერთი შეცდომა წყვეტს ყველაფერს. მსაჯი ორჯერ შეცდა. ერთი რომ ჯარიმა, რომლითაც გაგვიტანეს, უსამართლო იყო, მეორე კი ის, რომ ტერის გოლი არ ჩათვალა“.

ასე იყო თუ ისე, „ჩელსიმ“ წააგო და ხუმრობდნენ კიდეც, „სანდერლენდი“ რომ არა, ჩემპიონობასაც დაკარგავდაო. სწორედ „სანდერლენდმა“ შეაჩერა „მანჩესტერის“ გამარჯვებული დევნა, სერ ალექსმა კი გასახდელში კვლავ ამოსცხო ფეხი ვილაცის ბუცს, ოღონდ ამ ჯერზე ბექემი იქ არ იყო და ბუცი კარს მოხვდა.

რაფა ბენიტესმა კი თქვა: „მთელი თამაში საათს ვუყურებდი. ბედნიერი ვარ, რომ ფინალში გავედით“.

**ირაკლი გამყრელიძე**

*ლონდონიდან*

## ჩემპიონატი

### ჩემპიონატი. XLV ტური

კარდიფი — ნორვიჩი 0:1; კრ. პალასი — საუთჰემპტონი 2:1; ჰალი — პრესტონი 1:1; იფსვიჩი — დერბი 2:0; ლიდსი — ქრიუ 1:0; ლესტერი — პლიმუთი 1:0; ლუთონი — შეფილდი 1:1; მილუოლი — ბარნლი 1:0; ქუინზ პარკი — უოტფორდი 1:2; უენსდი — რედინგი 1:1; სტოკი — ქოვენთრი 0:1; ვულვზი — ბრაიტონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 45 | 30 | 13 | 2 | 97:31 | 103 |
| შეფილდი | 45 | 25 | 12 | 8 | 75:46 | 87 |
| უოტფორდი | 45 | 22 | 14 | 9 | 77:53 | 80 |
| ლიდსი | 45 | 21 | 15 | 9 | 57:36 | 78 |
| პრესტონი | 45 | 19 | 20 | 6 | 57:30 | 77 |
| კრ. პალასი | 45 | 21 | 12 | 12 | 67:47 | 75 |
| ვულვზი | 45 | 15 | 19 | 11 | 48:41 | 64 |
| ნორვიჩი | 45 | 18 | 8 | 19 | 55:63 | 62 |
| კარდიფი | 45 | 16 | 12 | 17 | 57:56 | 60 |
| ლუთონი | 45 | 17 | 9 | 19 | 65:66 | 60 |
| ქოვენთრი | 45 | 15 | 15 | 15 | 59:64 | 60 |
| იფსვიჩი | 45 | 14 | 14 | 17 | 52:64 | 56 |
| საუთჰემპტონი | 45 | 12 | 19 | 14 | 47:50 | 55 |
| სტოკი | 45 | 16 | 7 | 22 | 49:62 | 55 |
| ლესტერი | 45 | 13 | 15 | 17 | 51:57 | 54 |
| ბარნლი | 45 | 14 | 11 | 20 | 45:53 | 53 |
| პლიმუთი | 45 | 12 | 17 | 16 | 37:45 | 53 |
| ჰალი | 45 | 12 | 15 | 18 | 49:55 | 51 |
| დერბი | 45 | 10 | 20 | 15 | 53:65 | 50 |
| ქუინზ პარკი | 45 | 12 | 14 | 19 | 49:63 | 50 |
| უენსდი | 45 | 12 | 13 | 20 | 37:52 | 49 |
| მილუოლი | 45 | 8 | 16 | 21 | 33:58 | 40 |
| ქრიუ | 45 | 8 | 15 | 22 | 53:84 | 39 |
| ბრაიტონი | 45 | 7 | 17 | 21 | 38:66 | 38 |

### პირველი ლიგა XLIV ტური

ბლეკპული — ბარნსლი 1:1; ბორნმუთი — კოლჩესტერი 1:2; ბრედფორდი — პორტ ვეილი 1:0; ჩესტერფილდი — დონსი 1:2; ჰარტლპული — ნოტინგემი 3:2; ოლდემი — სუონსი 1:1; როტერჰემი — სკანთორპი 1:1; საუთენდი — დონკასტერი 0:1; სუინდონი — ბრენტფორდი 1:3; ტრანმერი — ბრისტოლი 0:3; უოლსოლი — ჰადერსფილდი 1:3; იოვილი — ჯილინგემი 4:3

### მეორე ლიგა XLIV ტური

გრიმსბი — ჩელტენემი 1:0; როვერსი — ბოსტონი 3:1; ჩესტერი — ბარნეტი 0:0; დარლინგტონი — ბერი 2:3; ლინკოლნი — ლეიტონი 1:1; მენსფილდი — კარლაილი 1:1; ნოტსი — როჩდეილი 1:1; ოქსფორდი — ნოტინგემი 1:3; პიტერბრო — მაკლსფილდი 3:2; რაშდენი — უიკომბი 1:3; სტოკპორტი — შრიუსბერი 3:1; ტორკი — რექსემი 1:0

### კონფერენსლიგა XLI ტური

აკრინგტონი — ტემუორთი 2:1; ალდერშოტი — უოქინგი 1:1; ალტრინჩემი — გრეისი 0:2; ბარტონი — ფორესტ გრინი 1:0; ქონვი — ექსეტერი 1:1; ქროული — ჰალიფაქსი 2:2; დაგენემი — კიდერმინსტერი 3:0; ჰერეფორდი — სოთპორტი 1:1; მორეკემბი — გრეივსენდი 3:0; სკარბორო — კემბრიჯი 1:2; სტივენეიჯი — იორკი 1:1

## შოტლანდია

### პრემიერლიგა XXXV ტური

**სელტიკი 0:0 რეინჯერსი**

**აბერდინი 0:0 კილმარნოკი**

**დანფერმლაინი 3:2 ლივინგსტონი**

0:1 ბრიტანი (93), 1:1 ბერჩილი (383), 1:2 ჰილი (63), 2:2 ბერჩილი (78), 3:2 ჰანტი (85)

**ფოლკირკი 1:1 მოზერუელი**

1:0 გოუვი (16), 1:1 ოდონელი (58)

**ჰიბერნიანი 2:1 ჰართსი**

1:0 რიორდანი (16), 1:1 ბედნარი (45), 2:1 ბენჯელუნი (78)

**ინვერნესი 1:0 დანდი იუნ.**

1:0 დარგო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 35 | 27 | 6 | 2 | 89:32 | 87 |
| ჰართსი | 35 | 20 | 8 | 7 | 67:29 | 68 |
| რეინჯერსი | 35 | 18 | 10 | 7 | 60:35 | 64 |
| ჰიბერნიანი | 35 | 17 | 5 | 13 | 59:47 | 56 |
| კილმარნოკი | 35 | 14 | 10 | 11 | 59:58 | 52 |
| აბერდინი | 35 | 12 | 14 | 9 | 40:37 | 50 |
| ინვერნესი | 35 | 12 | 13 | 10 | 47:38 | 49 |
| მოზერუელი | 35 | 12 | 9 | 14 | 51:57 | 45 |
| დანდი იუნ. | 35 | 7 | 11 | 17 | 40:62 | 32 |
| ფოლკირკი | 35 | 6 | 9 | 20 | 32:62 | 27 |
| დანფერმლაინი | 35 | 6 | 9 | 20 | 29:65 | 27 |
| ლივინგსტონი | 35 | 4 | 6 | 25 | 25:76 | 18 |

### I დივიზიონი. XXXV ტური

ბრეჩინი — ქუინი 1:1; დანდი — კლაიდი 0:1; როსი — ერდრი 0:1; სენტ ჯონსტონი — ჰამილტონი 1:1; სტრარნარი — სენტ მირენი 0:1

### II დივიზიონი. XXXV ტური

ალოა — დამბარტონი 1:0; ეარი — ფორფარი 0:1; მორტონი — სტირლინგი 1:0; გრეტნა — რეითი 2:1; პარტიკი — პიტერჰედი 0:1

### III დივიზიონი. XXXV ტური

ალბიონი — მონტროუზი 1:1; ისტ ფაიფი — არბროთი 0:3; ისტ სტირლინგი — ბერვიკი 0:1; ელგინი — სტენჰაუზმური 0:2; ქუინზ პარკი — კოუდენბითი 2:2

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXXII ტური

**ანდერლეხტი 2:0 სტანდარდი**

1:0 აკინი (34), 2:0 ზეტერბერგი (59)

**ბევერენი 0:0 ბეერსხოტი**

**შარლერუა 2:0 ვარეგემი**

1:0 აკპალა (37), 2:0 გ. კრისტი (47)

**ლიერსი 2:0 მუსკრონი**

1:0 იმშო (1), 2:0 დეკელვერი (6)

**ლოკერენი 3:2 ლუვიე**

1:0, 2:0 ვუკომანოვიჩი (10, 13), 2:1 სტოიკოვი (14), 2:2 ბოზაკი (34), 3:2 ბანსე (47)

**რუზელარე 0:1 ბრიუსელი**

0:1 სელესმანი (19)

**სენტ ტრუიდენი 2:2 გენკი**

1:0 დებრუ (1), 1:1 კ. ვანდენბერგი (24), 1:2 სოლი (63), 2:2 სიმესი (81)

**ვესტერლო 0:1 გენტი**

0:1 ფოლი (40)

**ბრიუგე 2:0 სერკლი**

1:0 ბალაბანი (62), 2:0 ვერჰეინი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 32 | 19 | 9 | 4 | 69:27 | 66 |
| სტანდარდი | 32 | 19 | 7 | 6 | 51:26 | 64 |
| ბრიუგე | 32 | 17 | 9 | 6 | 47:32 | 60 |
| გენტი | 32 | 17 | 6 | 9 | 46:34 | 57 |
| გენკი | 32 | 15 | 9 | 8 | 46:35 | 54 |
| ვარეგემი | 32 | 14 | 7 | 11 | 50:44 | 49 |
| ლოკერენი | 32 | 12 | 11 | 9 | 47:45 | 47 |
| შარლერუა | 32 | 11 | 11 | 10 | 37:36 | 44 |
| ბეერსხოტი | 32 | 12 | 7 | 13 | 42:43 | 43 |
| რუზელარე | 32 | 10 | 10 | 12 | 44:41 | 40 |
| ბრიუსელი | 32 | 10 | 10 | 12 | 27:29 | 40 |
| ვესტერლო | 32 | 11 | 7 | 14 | 38:46 | 40 |
| მუსკრონი | 32 | 10 | 4 | 18 | 40:42 | 34 |
| სენტ ტრუიდენი | 32 | 8 | 10 | 14 | 36:45 | 34 |
| სერკლი | 32 | 8 | 8 | 16 | 35:56 | 32 |
| ბევერენი | 32 | 8 | 6 | 18 | 34:53 | 30 |
| ლიერსი | 32 | 7 | 8 | 17 | 20:50 | 29 |
| ლუვიე | 32 | 4 | 13 | 15 | 23:48 | 25 |

### II კლასი. XXXII ტური

დესელი — სენტ ჟილი 1:2; მეხელენი — ვაასლანდი 2:0; დაინცე — ოსტენდე 0:2; ტუბეკე — ვირტონი 0:0; რონსე — გეელი 0:2; ვიგორი — მონსი 0:2; კორტრაიკი — ლომელი 3:0; ოუდ ევერლე — ეუპენი 3:1

# ჯერარდიდი რუნი პატარებს ჩაგრავს



სტივენ ჯერარდი

**ინგლისის** პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის ფეხბურთელად სტივენ ჯერარდი დაასახელა, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა, ზედიზედ მეორედ, 20 წლის უეინ რუნი გახდა.

წლის მოთამაშის ტიტულისთვის „ლივერპულის“ კაპიტნის გარდა, 5 კანდიდატი იბრძოდა — ტიერი ანრი, უეინ რუნი, ჯო კოული, ფრენკ ლამპარდი და ამ ჯილდოს წინა მფლობელი, ჯონ ტერი.

„სიმართლე გითხრათ, შოკში ვარ, ეს საკმაოდ მოულოდნელი და სასიამოვნოა. ჩემს გარდა კიდევ 5 ღირსეული კანდიდატი იყო და ძალიან მიხარია, რომ ჯილდო მე მივიღე“ — თქვა ჯერარდმა.

საინტერესოა, რომ „ლივერპულის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქომაგებს შორის ახლაც მიმდინარეობს გამოკითხვა, რომელმაც სეზონის საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოავლინოს და მას ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — პირველ ადგილზე ჯეიმი კარაგერია, რომელსაც ჯერარდი ოდნავ ჩამორჩება.

საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის წოდება კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლიდერის გარდა, მის თანაგუნდელ კრიშტიანუ რონალდუს, ჩარლტონელ დარენ ბენტს, არსენალელ ფრანსესკ ფაბრეგასს, ტოტენჰემელ აარონ ლენონსა და ვესტჰემელ ენტონ ფერდინანდს შეეძლოთ, მოეპოვებინათ.

„ძალიან სასიამოვნოა, როცა ასეთ ჯილდოს ზედიზედ მეორედ იღებ. „მანჩესტერმა“ თამაში აშკარად გამოასწორა და მომავალ სეზონს ბევრად უკეთ ჩავატარებთ. ასე რომ, იმედია, ამ ჯილდოს ისევ მოვიპოვებ. პირადად მე წლის მოთამაშედ ანრი დავასახელე, ხოლო ახალგაზრდებში — ფაბრეგასი“ — აღნიშნავ რუნიმ.

**კოკი კანდელაკი**

# მძინარენი მაინცში

## გაიღვიძეთ, ორი გაგვიტანეს!



მეჰდი მაჰდავიკია და დიმიტარ ბერბატოვი

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXXI ტური

**მაინცი 2:2 ბაიერნი**
1:0 მ. ზიდანი (9), 2:0 მ. ფრიდრიხი (13), 2:1, 2:2 მაკაი (29, 37პ)

**ვერდერი 0:0 შალკე**

**კაიზერსლაუტერნი 1:0 ჰანოვერი**
1:0 ჰალფარი (39)

**კიოლნი 3:1 დუისბურგი**
1:0 შტრაიტი (37), 2:0 ფიულნერი (62), 2:1 აჰანფუფი (79), 3:1 პოდოლსკი (80)

**არმინია 0:1 ვოლფსბურგი**
0:1 კარჰანი (45პ)

**დორტმუნდი 2:1 ნიურნბერგი**
1:0 კრინგე (18), 1:1 ნიკლი (29), 2:1 კრინგე (76)

**მიონხენგლადბახი 2:2 ჰერტა**
1:0 ჩაჰედი (9ს.კ.), 1:1 ბაშთურქი (16), 2:1 ბროიხი (82), 2:2 ნ. კოვაჩი (86)

**ჰამბურგი 0:2 ლევერკუზენი**
0:1 როლფსი (8), 0:2 ფრაიერი (77)

**შტუტგარტი 0:2 აინტრახტი**
0:1 ა. მეიერი (59), 0:2 ამანატიდისი (61პ)

**ფელიქს მაგათმა** მადლობა უნდა უთხრას ლევერკუზენის „ბაიერს", რომელმაც „ბაიერნის" მდევარი „ჰამბურგი" სტუმრად დაამარცხა და მიუნხენელების საქმე გააკეთა. თავად „ბაიერნმა" კი კინაღამ სირცხვილი ჭამა მაინცში. სირცხვილისგან მაგათის გუნდი როი მაკაის დუბლმა იხსნა, რომელმაც გუშინ კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა.

ჰამბურგში მასპინძლები უფრო ყოჩაღად უტევდნენ, მაგრამ მათზე ყოჩაღი „ბაიერნის" მეკარე ჰანს იორგ ბუტი გამოდგა, რომელმაც საუცხოოდ ითამაშა და დამხვდურებს არ გაატანინა. აილტონს მატჩის დასაწყისშივე შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმც ბუტმა ივარგა, ხოლო მაჰდავიკიას დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

მეშვიდე წუთზე კი სტუმრები დაწინაურდნენ — დიმიტარ ბერბატოვმა ქუსლით მიაწოდა პასი როლფსს და მანაც ბურთი ბადეში ააფართხალა.

მეორე ტაიმში „ჰამბურგმა" უფრო გულიანად შეუტია და კვლავ ვერ გამოიყენა მომენტი აილტონმა. საპასუხოდ, ბერბატოვს უნდა გაეტანა, როცა პირისპირ შეხვდა მეკარეს, მაგრამ კირხშტაინმა ახლოდან დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია. მასპინძელთაგან ბარბარესმა და დემელმა ასპროცენტიანი შანსები გაანიავეს, რისთვისაც უმალ დაისაჯნენ — პაულ ფრაიერმა ორ მცველს აჯობა და ზუსტად დაარტყა. ლევერკუზენის „ბაიერისთვის" ეს მიჯრით მეხუთე მოგება გამოდგა.

მაინცში, მე-13 წუთისთვის, „ბაიერნი" 0:2-ს აგებდა, რაც იშვიათი ამბავია. ჯერ მოჰამედ ზიდანმა დაჩაგრა ფილიპ ლამი მარჯვენა ფლანგზე და ანგარიში გახსნა, მერე კი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე ფრიდრიხმა დაასწრო ბალაკს და სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ბაიერნი" როი მაკაიმ იხსნა, რომელიც მარკო ვან ბასტენმა, გასულ პარასკევს გამოქვეყნებულ სანაკრებო სიაში არ შეიყვანა. მაკაიმ ორ მცველს გაასწრო, სანიოლისგან პასი მიიღო და მეკარე ვეტკლოს გაუტანა, ხოლო რვა წუთის შემდეგ ჰოლანდიელი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი თვითონ შეაგდო.

„თამაშის დასაწყისში ჩაგვეძინა და ამიტომაც დაგვსაჯეს" — თქვა ფელიქს მაგათმა.

„საინტერესო მატჩი იყო ქომაგებისთვის, მაგრამ არა ჩემთვის. ორი გოლი სწრაფად გაგვიტანეს და ვიფიქრე, კიდევ რომ გაგვიტანონ, წავაგებთ-მეთქი. ხანდახან ასეც ხდება, მაგრამ სანერვიულო არაფერია. კარგია, ქულა რომ ავიღეთ" — განაცხადა ოლივერ კანმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 31 | 21 | 7 | 3 | 60:27 | 70 |
| ჰამბურგი | 31 | 20 | 5 | 6 | 49:24 | 65 |
| ვერდერი | 31 | 18 | 7 | 6 | 66:33 | 61 |
| შალკე | 31 | 14 | 13 | 4 | 41:27 | 55 |
| ლევერკუზენი | 31 | 13 | 8 | 10 | 55:44 | 47 |
| ჰერტა | 31 | 11 | 12 | 8 | 46:39 | 45 |
| დორტმუნდი | 31 | 10 | 11 | 10 | 39:37 | 41 |
| შტუტგარტი | 31 | 8 | 16 | 7 | 32:32 | 40 |
| გლადბახი | 31 | 9 | 11 | 11 | 36:43 | 38 |
| ნიურნბერგი | 31 | 10 | 7 | 14 | 40:46 | 37 |
| არმინია | 31 | 10 | 7 | 14 | 29:38 | 37 |
| ჰანოვერი | 31 | 7 | 15 | 9 | 38:41 | 36 |
| აინტრახტი | 31 | 9 | 7 | 15 | 39:46 | 34 |
| ვოლფსბურგი | 31 | 7 | 12 | 12 | 30:48 | 33 |
| მაინცი | 31 | 7 | 10 | 14 | 42:47 | 31 |
| ლაუტერნი | 31 | 8 | 6 | 17 | 42:66 | 30 |
| კიოლნი | 31 | 6 | 9 | 16 | 45:62 | 27 |
| დუისბურგი | 31 | 4 | 11 | 16 | 29:58 | 23 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 20 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 18 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 16 |
| მაკაი (ბაიერნი) | 16 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 13 |
| ბალაკი (ბაიერნი) | 13 |
| ვიტეკი (ნიურნბერგი) | 13 |

### XXXII ტური

2-3 მაისი

დუისბურგი : ვერდერი
შალკე : არმინია
ვოლფსბურგი : მაინცი
ბაიერნი : შტუტგარტი
აინტრახტი : ლაუტერნი
ჰანოვერი : დორტმუნდი
ნიურნბერგი : გლადბახი
ჰერტა : ლევერკუზენი
კიოლნი : ჰამბურგი

### მეორე ბუნდესლიგა

#### XXXI ტური

ბოხუმი — ბურგჰაუზენი 1:2; მიუნხენი — კარლსრუე 2:0; პადერბორნი — ალემანია 3:1; ბრაუნშვაიგი — აუე 0:1; დინამო — ზაარბრიუკენი 2:0; ფრაიბურგი — ზიგენი 2:2; ჰანზა — ალენი 1:2; ოფენბახი — უნტერჰახინგი 4:1.
*ფიურტი — კოტბუსი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 31 | 18 | 8 | 5 | 52:23 | 62 |
| ალემანია | 31 | 19 | 4 | 8 | 57:34 | 61 |
| კოტბუსი | 30 | 15 | 8 | 7 | 45:29 | 53 |
| ფიურტი | 30 | 13 | 8 | 9 | 46:39 | 47 |
| ფრაიბურგი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:32 | 47 |
| კარლსრუე | 31 | 13 | 8 | 10 | 42:39 | 47 |
| აუე | 31 | 12 | 9 | 10 | 36:33 | 45 |
| პადერბორნი | 31 | 12 | 7 | 12 | 42:31 | 43 |
| ჰანზა | 31 | 13 | 4 | 14 | 42:42 | 43 |
| ბურგჰაუზენი | 31 | 11 | 10 | 10 | 38:45 | 43 |
| ბრაუნშვაიგი | 31 | 12 | 4 | 15 | 34:39 | 40 |
| მიუნხენი | 31 | 10 | 9 | 12 | 39:40 | 39 |
| უნტერჰახინგი | 31 | 11 | 5 | 15 | 41:45 | 38 |
| ოფენბახი | 31 | 10 | 7 | 14 | 36:52 | 37 |
| ზაარბრიუკენი | 31 | 10 | 5 | 16 | 35:58 | 35 |
| დინამო | 31 | 9 | 7 | 15 | 32:42 | 34 |
| ალენი | 31 | 8 | 8 | 15 | 33:45 | 32 |
| ზიგენი | 31 | 6 | 7 | 18 | 31:50 | 25 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XXXII ტური

ლევერკუზენი (მ) — დიუსელდორფი 2:3; ქემნიცი — ერფურტი 0:1; ჰერტა (მ) — ლიუბეკი 2:1; კილი — ჰამბურგი (მ) 2:0; ოსნაბრიუკი — ზანკტ პაული 2:0; მიუნსტერი — ემდენი 0:1; ვატენშაიდი — კიოლნი (მ) 4:2; ვუპერტალი — ობერჰაუზენი 1:2; კარლ ცაისი — ვერდერი (მ) 0:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XXVII ტური

კობლენცი — ელვერსბერგი 0:0; შტუტგარტი (მ) — აალენი 0:1; მიუნხენი (მ) — პფულენდორფი 0:1; აუგსბურგი — ჰოფენჰაიმი 1:0; დარმშტადტი — ტრირი 1:0; ეშბორნი — ბაიერნი (მ) 1:4; კარლსრუე (მ) — ვეჰენი 1:2; ბაიროითი — კიკერსი 1:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — რეგენსბურგი 2:0



# მიკუს ახალი ფინტი

„ვერდერის" ფრანგმა ნახევარმცველმა იოან მიკუმ „შალკეს" დანიელ კრისტიან პოულსენს უადგილო ადგილას მოუჭირა ხელი და მთელი გერმანია ალაშფოთა. გთხოვთ, ცუდად და ნაზად ნურავინ ნურაფერს გაიგებთ, აქ ხელის სატკენად ჩაჭიდებაზეა საუბარი.

„სატელევიზიო ჩანაწერის ცქერამ გაგვიჩინა ეჭვი, რომ მიკუ მარცხენა ხელით მოწინააღმდეგის გენიტალიებს ჩააფრინდა. ეს ინციდენტი სერიოზულ გამოკვლევას საჭიროებს" — ეწერა გერმანიის საფეხბურთო კავშირის საგანგებო განცხადებაში. კავშირმა ორივე ფეხბურთელს მომხდარის წერილობით აღწერა სთხოვა. მსაჯს ეპიზოდი არ დაუნახავს.

**პაპუნა კედია**

# ფელიქს მაგათს ლინკოლნით სიარული უნდა



ლინკოლნს „ბაიერნში" ეპატიჟებიან

**მიუნხენის** „ბაიერნის" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კვირას მედიასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „შალკეს" ბრაზილიელ ფეხბურთელს, ლინკოლნს, მიხაელ ბალაკის შემცვლელად მოიაზრებს.

29 წლის ბალაკი, რომელსაც ბავარიულ გიგანტთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, ლონდონის „ჩელსიში" გადადის. „ბაიერნმაც" წინასწარ მოიმარაგა 13 მილიონი ევრო ლინკოლნის შესაძენად.

„ლინკოლნი შესანიშნავი ფეხბურთელია — უთხრა მაგათმა გერმანულ „ბილდს" — ჩვენ სამომავალსეზონოდ რამდენიმე სხვა ფეხბურთელთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რათა გუნდი 2006-07-ის კამპანიას გაძლიერებული შეხვდეს".

ლინკოლნი „შალკეში" „კაიზერსლაუტერნიდან" მივიდა და იქაური ფანების კერპად იქცა. მან „შალკესთან" ახლახან 2008 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

ბრაზილიელის ამჟამინდელი კლუბი „ბაიერნის" სატრანსფერო ზრახვებს მშვიდად ხვდება.

„ვიცი, რომ ლინკოლნს ბალაკის ჩანაცვლება მშვენივრად შეუძლია, მაგრამ ჩვენ, გუნდიდან მისი წასვლის სასტიკი წინააღმდეგი ვართ" — განაცხადა „შალკეს" მწვრთნელმა მირკო სლომკამ.

„შალკემ", რომელიც უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა, შარშან ბუნდესლიგა მეორე ადგილზე დაასრულა, ოქროსმედალოსანი კი სწორედ „ბაიერნი" გახლდათ. ცხადია, კლუბს თავისი ვარსკვლავის მტრის ბანაკში გაშვება არ სურს.

ბავარიულ გიგანტს მეტოქეებისთვის მნიშვნელოვან ფეხბურთელთა „აწაპნვა" ისტორიულად სჩვევია. გასულ ზაფხულს „ბაიერნმა" 8 მილიონ ევროდ ბრემენის „ვერდერის" ფრანგი მცველი ვალერიან ისმაელი გადაიბირა.

**ლადო ხომერიკი**

# ბებერ ქალბატონს კაბაზე დააბიჯეს

## იტალია
### სერია A
### XXXV ტური

**რომა 0:0 სამპდორია**

**ასკოლი 2:2 კალიარი**

1:0 ფერანტე (18), 1:1, 1:2 სუაცო (53, 64), 2:2 დომიცი (73პ)

**ფიორენტინა 2:1 ემპოლი**

1:0 პასკუალი (43), 2:0 ლ. ხიმენესი (59), 2:1 რიგანო (66)

**ინტერი 4:0 რეჯინა**

1:0 ხ. კრუზი (16პ), 2:0 მარტინსი (24), 3:0 სეზარი (28), 4:0 ხ. კრუზი (90)

**იუვენტუსი 1:1 ლაციო**

0:1 როკი (29), 1:1 ტრეზეგე (86)

**ლეჩე 1:1 ტრევიზო**

1:0 ვუჩინიჩი (5), 1:1 რეგინალდო (82)

**ლივორნო 3:1 პალერმო**

1:0, 2:0, 3:0 კ. ლუკარელი (4პ, 42, 51), 3:1 ჯოვანი ტედესკო (90)

**მესინა 1:3 მილანი**

1:0 სკული (6), 1:1 იანკულოვსკი (33), 1:2 გატუზო (44), 1:3 ჯილარდინო (90)

**პარმა 1:1 სიენა**

0:1 გუცმანი (23), 1:1 მორფეო (64)

**უდინეზე 1:1 კიევო**

1:0 დი ნატალე (77), 1:1 პელისიერი (89პ)


ფაბიო კაპელო

„**იუვენტუსს**" სეზონის ბოლოს ძალიან უჭირს. შაბათს „დელე ალპიზე" ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. „ბებერმა ქალბატონმა" იწვალა და ქულა გამოჰგლიჯა „ლაციოს". შედეგად „იუვეს" მოუგებელი სერია 7 მატჩამდე გაიზარდა, ხოლო „მილანთან" სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა.

ემერსონი, დავიდ ტრეზეგე, პატრიკ ვიეირა და პაველ ნედვედი მცირე ტრავმებით თამაშობდნენ. ბუფონი ვარჯიშზე დაშავდა, ხოლო მაურო კამორანეზი დისკვალიფიცირებული იყო. ფაბიო კაპელომ დელ პიერო ისევ სათადარიგოთა სკამზე დატოვა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს ენდო, მაგრამ ამან კვლავ არ გაამართლა.

„ლაციო" კი თამამად გამოიყურებოდა და 29-ე წუთზე დაწინაურდა კიდეც — გორან პანდევმა მარჯვენა ფლანგზე ჩაირბინა, ბურთი მეკარის საჯარიმოსთან გაუჭრა ტომაზო როკის, რომელმაც გაუტანა კრისტიან აბიატის. ოსმან დაბომ მეორე გოლიც შეაგდო, მაგრამ მსაჯმა გააუქმა. აქაოდა, მანუელ ბელერი თამაშგარეში იყო და აბიატის ხელს უშლიდაო. დაბო ამან ისე გააბრაზა, რომ ჯანლუკა პაპარესტა იძულებული გახდა, წითელი ბარათი ეჩვენებინა.

მეორე ტაიმში კაპელომ დელ პიერო და ბალძარეტი შეუშვა. ტურინელებს ციდან ვარსკვლავები არც ამის მერე მოუწყვეტიათ, მაგრამ „იუვეს" გამოცდილმა პლეიმეიკერმა და ახალგაზრდა ბალძარეტიმ გუნდის თამაში აშკარად გამოაცოცხლეს.

საბოლოოდ, „იუვენტუსმა" 86-ე წუთზე გაათანაბრა და ეს ლამაზი კომბინაციით გამოუვიდა — დელ პიერომ საჯარიმოში ვიეირას ჩააწოდა, მან იქვე მდგომ ნედვედს დაუგდო ბურთი, ჩეხმა ტრეზეგეს მიაწოდა, რომელმაც ერთი შეხებით დაუბრუნა ვიეირას. ცოტა წინ გაჭრილმა ტრეზეგემ საპასუხო პასიც მიიღო და კოხტა დარტყმით დააგვირგვინა ეს იერიში. დარჩენილ დროში ტურინელებმა მოგებაც მოინდომეს და რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს, მაგრამ ანჯელო პერუცი ყოჩაღობდა.

„მილანმა" კი მოიგო და სხვაობაც შეამცირა, მაგრამ სიცილიაზე ომი გადაიტანა და „ბარსელონასთან" მატჩის წინ ეს შეიძლება ძვირად დაუჯდეს. გადარჩენისთვის მებრძოლმა „მესინამ" მონდომებით დაიწყო და მე-6 წუთზე ჯუზეპე სკულიმ გაიტანა კიდეც. მალე სტუმრებს კაკა დაუშავდათ. მას ალესანდრო ნესტაც მიჰყვა, ხოლო 28-ე წუთზე კაკას შემცვლელი ამბროზინიც შესაცვლელი შეიქნა და მოედანზე მარეკ იანკულოვსკი გამოჩნდა. ანგარიში სწორედ მან გაათანაბრა სერჟინიოს პასით. ტაიმის მიწურულს კი ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყდა — გატუზომ შორეული დარტყმით შეაგდო, ხოლო მესინელმა ნოჩერინომ წითელი ბარათი მიიღო.

მეორე ნახევარმა ასევე დაძაბულად განვლო, რამაც პიკს ბოლო წუთებზე უწია. მსაჯმა ჯერ სკული გააძევა, მერე ალბერტო ჯილარდინომ გაიტანა, ხოლო, დამატებულ წუთებზე არონიკა და კლარენს ზეედორფი წაიჩხუბნენ, რისთვისაც ორივემ წითელი მიიღო.

სხვა რა? „ფიორენტინა" მეოთხე ადგილზე უფრო გამყარდა. ფლორენციელებს ცოტა კი გაუჭირდათ, მაგრამ მაინც იმარჯვეს ტოსკანურ დერბიში. „რომამ" კი „სტადიო ოლიმპიკოზე" ვერაფერი მოუხერხა „სამპდორიას" და ახლა „იებს" 3 ქულით ჩამორჩება.

**გიორგი ქაქაბაძე**


მარეკ იანკულოვსკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 35 | 24 | 10 | 1 | 64:23 | 82 |
| მილანი | 35 | 25 | 4 | 6 | 78:28 | 79 |
| ინტერი | 35 | 23 | 5 | 7 | 65:26 | 74 |
| ფიორენტინა | 35 | 20 | 8 | 7 | 59:38 | 68 |
| რომა | 35 | 18 | 11 | 6 | 64:36 | 65 |
| ლაციო | 35 | 13 | 14 | 8 | 50:46 | 53 |
| კიევო | 35 | 13 | 13 | 9 | 50:43 | 52 |
| ლივორნო | 35 | 12 | 11 | 12 | 37:42 | 47 |
| პალერმო | 35 | 11 | 13 | 11 | 47:50 | 46 |
| პარმა | 35 | 12 | 9 | 14 | 43:53 | 45 |
| სამპდორია | 35 | 10 | 9 | 16 | 45:47 | 39 |
| ასკოლი | 35 | 8 | 15 | 12 | 38:46 | 39 |
| უდინეზე | 35 | 10 | 9 | 16 | 36:51 | 39 |
| ემპოლი | 35 | 11 | 6 | 18 | 42:59 | 39 |
| რეჯინა | 35 | 10 | 8 | 17 | 34:57 | 38 |
| სიენა | 35 | 9 | 10 | 16 | 41:56 | 37 |
| კალიარი | 35 | 7 | 14 | 14 | 37:50 | 35 |
| მესინა | 35 | 6 | 13 | 16 | 33:52 | 31 |
| ლეჩე | 35 | 6 | 7 | 22 | 27:55 | 25 |
| ტრევიზო | 35 | 2 | 11 | 22 | 20:52 | 17 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 28 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 21 |
| სუაცო (კალიარი) | 20 |
| შევჩენკო (მილანი) | 19 |
| ქ. ლუკარელი (ლივორნო) | 19 |

### XXXVI ტური
29-30 აპრილი

| | |
|---|---|
| ტრევიზო | ასკოლი |
| პალერმო | ფიორენტინა |
| ემპოლი | ინტერი |
| სიენა | იუვენტუსი |
| ლაციო | ლეჩე |
| მილანი | ლივორნო |
| რეჯინა | მესინა |
| კალიარი | პარმა |
| კიევო | რომა |
| სამპდორია | უდინეზე |

### სერია B
### XXXVII ტური

აველინო — ატალანტა 0:0; ბრეშა — ჩეზენა 3:2; კატანძარო — მანტოვა 0:1; კრემონეზე — კატანია 2:4; მოდენა — არეცო 0:0; პესკარა — პიაჩენცა 1:0; რიმინი — კროტონე 1:0; ტერნანა — ბოლონია 1:1; ტრიესტინა — ვიჩენცა 1:1; ვერონა — ტორინო 0:1. *ალბინოლეფე — ბარი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 37 | 21 | 8 | 8 | 53:35 | 71 |
| კატანია | 37 | 19 | 11 | 7 | 58:38 | 68 |
| მანტოვა | 37 | 17 | 12 | 8 | 43:32 | 63 |
| ტორინო | 37 | 16 | 13 | 8 | 43:31 | 61 |
| ჩეზენა | 37 | 16 | 12 | 9 | 56:44 | 60 |
| ბრეშა | 37 | 15 | 14 | 8 | 50:32 | 59 |
| არეცო | 37 | 14 | 14 | 9 | 39:29 | 56 |
| მოდენა | 37 | 13 | 15 | 9 | 49:36 | 54 |
| კროტონე | 37 | 15 | 9 | 13 | 43:39 | 54 |
| პიაჩენცა | 37 | 12 | 15 | 10 | 49:42 | 51 |
| ბოლონია | 37 | 12 | 15 | 10 | 41:39 | 51 |
| პესკარა | 37 | 13 | 9 | 15 | 34:41 | 48 |
| ტრიესტინა | 37 | 11 | 14 | 12 | 37:40 | 47 |
| ბარი | 36 | 11 | 13 | 12 | 36:38 | 46 |
| რიმინი | 37 | 10 | 14 | 13 | 38:42 | 44 |
| ვერონა | 37 | 9 | 16 | 12 | 38:37 | 43 |
| ვიჩენცა | 37 | 11 | 8 | 18 | 33:47 | 41 |
| აველინო | 37 | 8 | 13 | 16 | 37:58 | 37 |
| ალბინოლეფე | 36 | 7 | 15 | 14 | 30:43 | 36 |
| ტერნანა | 37 | 7 | 15 | 15 | 30:49 | 36 |
| კრემონეზე | 37 | 6 | 10 | 21 | 31:49 | 28 |
| კატანძარო | 37 | 7 | 7 | 23 | 22:49 | 28 |

### სერია C1/A
### XXXII ტური

ჩიტადელა — რავენა 2:1; ლუმეცანე — ჯულიანოვა 2:1; მონცა — პიციგეტონე 0:0; ნოვარა — ფერმანა 2:1; პავია — სან მარინო 4:0; სალერნიტანა — პრო პატრია 3:0; სამბენედეტეზე — ჯენოა 2:1; სპეცია — პრო სესტო 1:0; ტერამო — პადოვა 2:2

### სერია C1/B
### XXXII ტური

ფოჯა — კიეტი 3:0; ფროზინონე — აკირეალე 0:1; გროსეტო — ნაპოლი 2:2; იუვე სტაბია — მასეზე 1:1; ლანჩანო — ჯელა 1:1; მარტინა — მანფრედონია 2:1; პერუჯა — ლუკეზე 2:1; პიზა — სასარი ტორესი 1:1; სანჯოვანეზე — პისტოიეზე 1:1

## საფრანგეთი
### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**სოშო 0:3 ბორდო**

0:1 ფობერი (18), 0:2 ჟემალი (26), 0:3 დარშევილი (54)

**მონაკო 2:1 ლიონი**

1:0 ჩევანტონი (32), 2:0 დი ვაიო (57), 2:1 კარეუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 35 | 23 | 9 | 3 | 61:26 | 78 |
| ბორდო | 35 | 17 | 13 | 5 | 39:22 | 64 |
| ლილი | 35 | 15 | 13 | 7 | 48:25 | 58 |
| რენი | 35 | 18 | 2 | 15 | 45:46 | 56 |
| მარსელი | 35 | 15 | 10 | 10 | 39:31 | 55 |
| ლანსი | 35 | 12 | 17 | 6 | 41:31 | 53 |
| ოსერი | 35 | 15 | 8 | 12 | 42:36 | 53 |
| პსჟ | 35 | 13 | 12 | 10 | 41:32 | 51 |
| ლე მანი | 35 | 13 | 11 | 11 | 30:26 | 50 |
| მონაკო | 35 | 13 | 10 | 12 | 36:30 | 49 |
| ნიცა | 35 | 13 | 10 | 12 | 29:29 | 49 |
| სენტ ეტიენი | 35 | 11 | 13 | 11 | 28:32 | 46 |
| ნანტი | 35 | 11 | 11 | 13 | 35:36 | 44 |
| ნანსი | 35 | 11 | 11 | 13 | 29:31 | 44 |
| ტულუზი | 35 | 10 | 10 | 15 | 31:39 | 40 |
| სოშო | 35 | 9 | 10 | 16 | 30:45 | 37 |
| ტრუა | 35 | 8 | 11 | 16 | 32:43 | 35 |
| სტრასბური | 35 | 5 | 13 | 17 | 30:47 | 28 |
| აიაჩო | 35 | 6 | 9 | 20 | 20:47 | 27 |
| მეცი | 35 | 5 | 11 | 19 | 24:56 | 26 |

### II დივიზიონი. XXXV ტური

ბრესტი — დიჟონი 0:4; შატორუ — გრენობლი 3:1; კრეტეი — ლორიანი 1:1; ლავალი — გენგამი 1:2; ლე ავრი — გენიონი 2:1; მონპელიე — კლერმონი 1:0; რეიმსი — სეტე 2:0; ვალანსიენი — ისტრი 1:0; ბასტია — კაენი 0:3. *ამიენი — სედანი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალანსიენი | 35 | 19 | 11 | 5 | 47:26 | 68 |
| სედანი | 34 | 17 | 13 | 4 | 46:28 | 64 |
| ლორიანი | 35 | 17 | 11 | 7 | 45:23 | 62 |
| კაენი | 35 | 16 | 12 | 7 | 51:31 | 60 |
| დიჟონი | 35 | 15 | 11 | 9 | 44:30 | 56 |
| ბასტია | 35 | 16 | 8 | 11 | 44:35 | 56 |
| კრეტეი | 35 | 12 | 14 | 9 | 43:29 | 50 |
| ლე ავრი | 35 | 12 | 14 | 9 | 46:40 | 50 |
| გენგამი | 35 | 11 | 14 | 10 | 33:27 | 47 |
| მონპელიე | 35 | 12 | 10 | 13 | 32:38 | 46 |
| რეიმსი | 35 | 10 | 15 | 10 | 30:23 | 45 |
| გრენობლი | 35 | 11 | 11 | 13 | 38:43 | 44 |
| გენიონი | 35 | 10 | 14 | 11 | 25:34 | 44 |
| შატორუ | 35 | 9 | 13 | 13 | 42:44 | 40 |
| ისტრი | 35 | 10 | 10 | 15 | 28:44 | 40 |
| ამიენი | 34 | 8 | 14 | 12 | 30:40 | 38 |
| ბრესტი | 35 | 7 | 14 | 14 | 30:46 | 35 |
| ლავალი | 35 | 8 | 8 | 19 | 33:53 | 32 |
| კლერმონი | 35 | 8 | 8 | 19 | 28:54 | 32 |
| სეტე | 35 | 3 | 11 | 21 | 27:54 | 20 |

### ლიგის თასის ფინალი

**ნანსი 2:1 ნიცა**

1:0 ზერკა (22), 1:1 ვაირუა (48), 2:1 კიმი (65)

### თასის ნახევარფინალი

**მარსელი 3:0 რენი**

1:0 რიბერი (1), 2:0 ტაივუ (18), 3:0 ნიანგი (44)

**ნანტი 1:2 პსჟ**

0:1 პანკრატი (67), 1:1 სეტო (71), 1:2 პაულეტა (85)

## უკრაინა
### უმაღლესი ლიგა XXVII ტური

შახტარი — ვორსკლა 0:0; სტალი — მეტალისტი 1:1; ტავრია — მეტალურგი (დ) 3:0; დნიპრო — ვოლინი 0:0; არსენალი — ზაკარპატია 2:1; ხარკოვი — დინამო 0:3; მეტალურგი (ზ) — ილიჩევეცი 2:1; კრივბასი — ჩერნომორეცი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 22 | 4 | 1 | 63:17 | 70 |
| შახტარი | 27 | 21 | 5 | 1 | 57:11 | 68 |
| ჩერნომორეცი | 27 | 13 | 5 | 9 | 35:27 | 44 |
| ილიჩევეცი | 27 | 11 | 7 | 9 | 25:28 | 40 |
| მეტალურგი (დ) | 27 | 10 | 8 | 9 | 31:27 | 38 |
| მეტალისტი | 27 | 10 | 7 | 10 | 31:34 | 37 |
| მეტალურგი (ზ) | 27 | 10 | 5 | 12 | 28:36 | 35 |
| ტავრია | 27 | 10 | 4 | 13 | 27:30 | 34 |
| დნიპრო | 26 | 8 | 9 | 9 | 25:23 | 33 |
| ხარკოვი | 27 | 9 | 6 | 12 | 29:32 | 33 |
| ვორსკლა | 27 | 7 | 10 | 10 | 24:31 | 31 |
| კრივბასი | 27 | 8 | 6 | 13 | 24:30 | 30 |
| ვოლინი | 27 | 8 | 5 | 14 | 28:43 | 29 |
| სტალი | 26 | 7 | 8 | 11 | 23:38 | 29 |
| არსენალი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:34 | 28 |
| ზაკარპატია | 27 | 3 | 6 | 18 | 15:46 | 15 |



კასანოს და ბაპტისტას „მალაგას“ ძლევა გაუჭირდათ

# სამი გოლი ხუთ წუთში ად-ვილია?!

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXXIV ტური

**რეალი 2:1 მალაგა**
0:1 ბოვიო (22), 1:1 ზ. ზიდანი (67პ), 2:1 სერხიო რამოსი (90)
**ბილბაო 0:3 ვალენსია**
0:1, 0:2, 0:3 ვილია (81, 84, 86)
**კადისი 1:1 დეპორტივო**
0:1 იაგო (8), 1:1 ლობოსი (83)
**რასინგი 1:3 ხეტაფე**
0:1 რიკი (34), 1:1 ანტონიტო (37), 1:2 რიკი (61), 1:3 მარიანო პერნია (74)
**ესპანიოლი 2:0 ბეტისი**
1:0 ხარკე (22), 2:0 ტამუდო (58)
**მალიორკა 0:1 ოსასუნა**
0:1 დელპორტი (90)
**სელტა 4:0 სარაგოსა**
1:0 კანობიო (30), 2:0 ხორხე (46), 3:0 ხესუს პერერა (80), 4:0 კანობიო (81)
**ალავესი 0:1 ატლეტიკო**
0:1 ანტონიო ლოპესი (22)
**ვილიარეალი 0:2 სოსიედადი**
0:1 მიკელ ალონსო (9), 0:2 მარკ გონსალესი (27)
**სევილია — ბარსელონა** გადაიდო

**ამ ტურის** ანგარიშებდან ყველაზე უცნაური “ვილიარეალის“ საშინაო მარცხია “სოსიედადთან“. ერთი მხრივ, ვილიარეალელებს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩი ელით და, ცხადია, გულისყური იქით აქვთ მიმართული. მაგრამ საქმეს უფრო პრაქტიკული თვალით შევხედოთ — თუ “ვილიარეალმა“ ლიგა ვერ მოიგო, პრიმერაში ასეთი თამაშით გაისად უეფას თასზეც ვერ მოხვდება.

აი, “რეალს“ რომ ვერ მოეგო, “ვილიარეალი“ ეგებ არც გაგვხსენებოდა. როგორია — “ბერნაბეუს“ ბინადრები 67-ე წუთამდე მარცხდებოდნენ, 90-ე წუთამდე კი ვერ იგებდნენ.

“რეალის“ მეტოქე პრიმერას მაჩანჩალა “მალაგა“ იყო, რომელიც ბრაზილიელი რიკარდო ბოვიოს გოლით დაწინაურდა.

იქამდე რაულს არ ჩაუთვალეს გოლი, თუმცა “რეალის“ კაპიტანმა თავისი საქმე მოგვიანებით მაინც გააკეთა — საჯარიმოში წაიქცა და ზიდანს პენალტი გაატანინა.

მადრიდელთა გამარჯვებისა კი სერხიო რამოსისა იყო. თანაც გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც — რამოსის გოლისას “ბერნაბეუს“ წამსვე გადაავიწყდა, მთელი თამაში თავის ფეხბურთელებს რომ აგინებდა...

ოთხმოცდაათს სამი წუთი გადასცდენოდა, როცა ოსასუნელმა ლუდოვიკ დელპორტემ “მალიორკას“ იშვიათი გოლი გაუტანა. იშვიათში რას ვგულისხმობთ? სანამ საგოლედ დაარტყამდა, დელპორტემ დაახლოებით 70 მეტრი ირბინა.

დელპორტეს გოლის მნიშვნელობაზე კი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ — გათამაშების ცხრილს თუ ჩახედავთ აღმოაჩენთ, რომ “ოსასუნა“ ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძვის.

არანაკლებ იშვიათი რამ მოხდა ბილბაოს „სან მამესზე“, სადაც “ვალენსია“ სტუმრობდა. იქ დავიდ ვილიამ ჰეთ თრიქი შეასრულა, იშვიათობა კი ის არის, რომ სამი გოლის გატანა ვალენსიელმა მატჩის მიწურულს 5-წუთიან მონაკვეთში მოახერხა. ნამატჩევს კი ვილიამ თქვა: „ერთ მატჩში სამი გოლი როგორ არ გამიტანია, მაგრამ ასეთ მცირე დროში — არასდროს. მთავრი კი ის არის, რომ გოლები მაშინ გავიტანე, გამარჯვების იმედი ნაკლებად რომ გვქონდა.“

ამ ტურმა ერთი მწვრთნელიც შეიწირა — მანუელ პრესიადო სანტანდერის “რასინგის“ დამრიგებელი აღარ არის. “რასინგი“ ამ ტურში შინ “ხეტაფესთან“ დამარცხდა.

— იმედი მაქვს, ჩემი გადადგომა გუნდზე სასიკეთოდ იმოქმედებს — თქვა წასულმა და დასძინა, ჩემი გადაწყვეტილება კლუბის პრეზიდენტისთვის სიურპრიზი იყოო.

და “ბარსელონა“? კატალონიელებს ძალიან გაუმართლათ — სევილიაში კოკისპირულად წვიმდა, ქარბუქიც დაჰქროდა და თამაში შეუძლებელი გახლდათ. ანუ “სევილიასთან“ ჩაშლილი მატჩის გამო “ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაში “მილანთან“ საპასუხო ნახევარფინალურ თამაშს დასვენებული შეხვდება.

ჰო, გულდაწყვეტილი არც “სევილია“ უნდა იყოს. საევროთასო მატჩი ხომ ამ გუნდსაც ელის — “სევილია“ უეფას თასზე „შალკეს“ ეთამაშება.

**ქოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 33 | 22 | 7 | 4 | 73:29 | 73 |
| ვალენსია | 34 | 18 | 11 | 5 | 52:28 | 65 |
| რეალი | 34 | 18 | 9 | 7 | 60:31 | 63 |
| ოსასუნა | 34 | 19 | 5 | 10 | 45:39 | 62 |
| სელტა | 34 | 18 | 3 | 13 | 40:30 | 57 |
| სევილია | 33 | 15 | 8 | 10 | 40:33 | 53 |
| დეპორტივო | 34 | 14 | 10 | 10 | 44:39 | 52 |
| ატლეტიკო | 34 | 13 | 11 | 10 | 43:33 | 50 |
| ხეტაფე | 34 | 14 | 8 | 12 | 50:43 | 50 |
| ვილიარეალი | 34 | 12 | 13 | 9 | 42:34 | 49 |
| სარაგოსა | 34 | 9 | 15 | 10 | 41:46 | 42 |
| ესპანიოლი | 34 | 10 | 9 | 15 | 35:52 | 39 |
| სოსიედადი | 34 | 11 | 5 | 18 | 43:58 | 38 |
| ბეტისი | 34 | 9 | 10 | 15 | 30:46 | 37 |
| ბილბაო | 34 | 8 | 11 | 15 | 33:43 | 35 |
| რასინგი | 34 | 7 | 13 | 14 | 29:41 | 34 |
| მალიორკა | 34 | 7 | 13 | 14 | 30:47 | 34 |
| ალავესი | 34 | 7 | 11 | 16 | 33:50 | 32 |
| კადისი | 34 | 7 | 11 | 16 | 28:46 | 32 |
| მალაგა | 34 | 5 | 9 | 20 | 33:56 | 24 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 24 |
| ვილია (ვალენსია) | 22 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 15 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 14 |
| რონალდო (რეალი) | 14 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 13 |

### XXXV ტური

29-30 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია | : | ალავესი |
| ბეტისი | : | ბილბაო |
| სარაგოსა | : | ესპანიოლი |
| დეპორტივო | : | სელტა |
| ბარსელონა | : | კადისი |
| სოსიედადი | : | სევილია |
| ხეტაფე | : | ვილიარეალი |
| მალაგა | : | რასინგი |
| ატლეტიკო | : | მალიორკა |
| ოსასუნა | : | რეალი |

### სეგუნდადივიზიონი XXXIV ტური

სიუდად მურსია — ეიბარი 0:2; რეალი B — მურსია 1:0; ხერესი — ლევანტე 0:1; მალაგა B — ალბასეტე 1:1; უელვა — ხიმნასტიკი 3:0; ერკულესი — ლორკა 0:2; ალმერია — ელჩე 2:0; კასტელიონი — ფეროლი 1:0; ნუმანსია — პოლი ეხიდო 1:2; სპორტინგი — ლეიდა 2:0; ტენერიფე — ვალიადოლიდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელვა | 34 | 17 | 11 | 6 | 48:25 | 62 |
| ხიმნასტიკი | 34 | 19 | 5 | 10 | 40:32 | 62 |
| ალმერია | 34 | 17 | 7 | 10 | 44:30 | 58 |
| ლევანტე | 34 | 15 | 12 | 7 | 43:35 | 57 |
| ლორკა | 34 | 16 | 8 | 10 | 49:34 | 56 |
| ხერესი | 34 | 14 | 12 | 8 | 49:36 | 54 |
| სიუდად მურსია | 34 | 15 | 9 | 10 | 41:36 | 54 |
| ნუმანსია | 34 | 14 | 9 | 11 | 35:39 | 51 |
| რეალი B | 34 | 14 | 7 | 13 | 43:34 | 49 |
| სპორტინგი | 34 | 10 | 15 | 9 | 33:27 | 45 |
| ელჩე | 34 | 12 | 9 | 13 | 42:47 | 45 |
| ვალიადოლიდი | 34 | 11 | 11 | 12 | 44:43 | 44 |
| ერკულესი | 34 | 11 | 10 | 13 | 33:39 | 43 |
| პოლი ეხიდო | 34 | 12 | 7 | 15 | 34:42 | 43 |
| მურსია | 34 | 10 | 12 | 12 | 31:30 | 42 |
| ალბასეტე | 34 | 11 | 9 | 14 | 34:49 | 42 |
| კასტელიონი | 34 | 10 | 9 | 15 | 33:40 | 39 |
| ტენერიფე | 34 | 10 | 9 | 15 | 42:50 | 39 |
| ლეიდა | 34 | 10 | 8 | 16 | 35:39 | 38 |
| ფეროლი | 34 | 7 | 14 | 13 | 37:47 | 35 |
| ეიბარი | 34 | 5 | 13 | 16 | 23:38 | 28 |
| მალაგა B | 34 | 6 | 10 | 18 | 27:48 | 28 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. VI ტური

**სპარტაკი (მ) 3:3 მოსკოვი**
1:0 მოცარტი (9პ), 2:0 ბაჟენოვი (20), 3:0 ტიტოვი (39), 3:1 კირიჩენკო (61პ), 3:2 სემაკი (63), 3:3 ჩიჟეკი (82)
**ლოკომოტივი 4:4 რუბინი**
1:0 ლოსკოვი (33), 1:1 გ. ბაზაევი (32), 2:1 ლოსკოვი (45), 3:1 სტარკოვი (56), 3:2, 3:3, 3:4 დომინგესი (61, 68პ, 73), 4:4 ლოსკოვი (82პ)
**როსტოვი 0:0 შინიკი**
**კრილია 1:0 დინამო**
1:0 მედვედევი (22)
**სპარტაკი (ნ) 1:1 ზენიტი**
0:1 ა. კერჟაკოვი (63), 1:1 პოროშინი (81)
**ცსკა 1:0 სატურნი**
1:0 ჟო (13)
**ამკარი 0:0 ტომი**
**ლუჩ-ენერგია 2:0 ტორპედო**
1:0, 2:0 ივანოვი (32, 77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| რუბინი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| კრილია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| ტომი | 6 | 3 | 2 | 1 | 4:3 | 11 |
| მოსკვა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:9 | 11 |
| სპარტაკი ნ. | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| როსტოვი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| ზენიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| სატურნი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:3 | 7 |
| სპარტაკი მ. | 6 | 1 | 4 | 1 | 9:10 | 7 |
| ამკარი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 11:13 | 5 |
| ლუჩ-ენერგია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ტორპედო | 6 | 0 | 4 | 2 | 3:6 | 4 |
| შინიკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:10 | 3 |
| დინამო | 6 | 0 | 2 | 4 | 4:8 | 2 |

## დანია

### სუპერლიგა. XXIX ტური

ჰორსენსი — კოპენჰაგენი 0:1; სიონდერისკე — ნორდსიელანდი 2:2; ოდენსე — სილკებორგი 2:1; მიდტიულანდი — ბრონდბიუ 2:0; ესბიერგი — ვიბორგი 3:2; ორჰუსი — ოლბორგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 28 | 21 | 5 | 2 | 58:22 | 68 |
| ბრონდბიუ | 29 | 20 | 3 | 6 | 55:27 | 63 |
| ოდენსე | 29 | 14 | 7 | 8 | 43:27 | 49 |
| ვიბორგი | 29 | 13 | 8 | 8 | 54:40 | 47 |
| ესბიერგი | 29 | 11 | 5 | 13 | 39:39 | 38 |
| მიდტიულანდი | 29 | 9 | 9 | 11 | 38:47 | 36 |
| ნორდსიელანდი | 28 | 8 | 10 | 10 | 44:46 | 34 |
| ოლბორგი | 29 | 7 | 12 | 10 | 41:42 | 33 |
| სილკებორგი | 29 | 9 | 6 | 14 | 27:44 | 33 |
| ჰორსენსი | 29 | 6 | 13 | 10 | 24:36 | 31 |
| სიონდერისკე | 29 | 4 | 8 | 17 | 36:64 | 20 |
| ორჰუსი | 29 | 3 | 10 | 16 | 33:58 | 19 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXXIII ტური

ზალცბურგი — შტურმი 3:2; პაშინგი — ტიროლი 1:1; გრაცერი — რიდი 1:4; მატერსბურგი — ადმირა 3:2; აუსტრია — რაპიდი 3:1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 33 | 17 | 10 | 6 | 46:29 | 61 |
| ზალცბურგი | 33 | 19 | 3 | 11 | 56:37 | 60 |
| პაშინგი | 33 | 14 | 10 | 9 | 38:29 | 52 |
| რიდი | 33 | 12 | 12 | 9 | 44:39 | 48 |
| რაპიდი | 33 | 11 | 9 | 13 | 43:41 | 42 |
| გრაცერი | 33 | 12 | 6 | 15 | 42:42 | 42 |
| შტურმი | 33 | 9 | 12 | 12 | 40:45 | 39 |
| ტიროლი | 33 | 9 | 12 | 12 | 39:48 | 39 |
| მატერსბურგი | 33 | 11 | 6 | 16 | 37:52 | 39 |
| ადმირა | 33 | 8 | 6 | 19 | 40:63 | 30 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXXII ტური

სენტ გალენი — ციურიხი 2:3; თუნი — ივერდონი 1:0; ქსამაქსი — შაფჰაუზენი 2:0; გრასჰოპერი — ბაზელი 1:1; აარაუ — იანგ ბოისი 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 31 | 20 | 9 | 2 | 75:35 | 69 |
| ციურიხი | 31 | 18 | 9 | 4 | 74:33 | 63 |
| გრასჰოპერი | 32 | 13 | 12 | 7 | 43:30 | 51 |
| იანგ ბოისი | 31 | 13 | 11 | 7 | 49:41 | 50 |
| თუნი | 32 | 13 | 7 | 12 | 45:46 | 46 |
| სენტ გალენი | 32 | 9 | 7 | 16 | 47:53 | 34 |
| შაფჰაუზენი | 32 | 7 | 10 | 15 | 30:46 | 31 |
| ივერდონი | 32 | 9 | 4 | 19 | 34:53 | 31 |
| აარაუ | 32 | 7 | 9 | 16 | 27:60 | 30 |
| ქსამაქსი | 31 | 7 | 6 | 18 | 38:65 | 27 |

# რაფაელი გაქრა

**შვეიცარიის** პოლიციამ „ციურიხის“ ბრაზილიელი ფეხბურთელის, რაფაელ დე არაუჟუს გაუჩინარების გამო ძიება წამოიწყო. საქმე გამოძალვის და ადამიანის გატაცების მუხლითაა აღძრული. ფეხბურთელის გაქრობის გამო განგაშის ზარს ციურიხელთა მწვრთნელმა, ლუსიენ ფავრმა კვირას, „სენტ გალენთან“ თამაშის წინ შემოჰკრა.

„ის ნამდვილად გატაცებულია“ — დაუჩემებია ფავრს, რომელიც ამბობს, რომ ფეხბურთელი ორი დღე არ ჩანდა, მერე კი შვეიცარიაში მისი ორი აგენტი ჩავიდა და რაღაც თანხა მოითხოვა. საქმე, როგორც ხედავთ, ბუნდოვანია. 21 წლის რაფაელ დე არაუჟუს „ციურიხთან“ კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე აქვს გაფორმებული. ევროპაში გადაბარგებამდე ის გამოდიოდა „ვიტორია ბაიასა“ და „ჟუვენტუდეში“. ევროპაში მისი პირველი გუნდი გახლდათ შვეიცარიის მეორე ლიგის სუსტი წარმომადგენელი „კიასო“.

**პაპუნა ძიდია**



რაფაელს სამი დღეა ეძებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრიანსე და ადრიანო

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

**გიმარაეში 1:1 ბოავიშტა**
0:1 პაულუ ჟორჟე (14), 1:1 პაიტუ (78)
**პენაფიელი 0:1 პორტუ**
0:1 ადრიანუ (47)
**ჟილ ვისენტე 1:0 რიუ ავე**
1:0 კოენტრაუ (73)
**ფერეირა 1:1 ბელენენსეში**
1:0 ედსონი (9), 1:1 ამორიმი (26)
**ლეირია 1:1 ამადორა**
0:1 დუარტე (43), 1:1 ფელისიუ (69)
**სეტუბალი 0:1 მარიტიმუ**
0:1 ზე კარლოსი (34)
**ნასიონალი 1:1 ბენფიკა**
0:1 მიკოლი (48), 1:1 რუი ფერნანდეში (88)
**სპორტინგი 0:0 ნავალი**
**აკადემიკა — ბრაგა**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 23 | 6 | 3 | 50:14 | 75 |
| სპორტინგი | 32 | 20 | 6 | 6 | 46:23 | 66 |
| ბენფიკა | 32 | 19 | 7 | 6 | 49:26 | 64 |
| ბრაგა | 31 | 16 | 6 | 9 | 34:20 | 54 |
| ბოავიშტა | 32 | 12 | 13 | 7 | 36:27 | 49 |
| ნასიონალი | 32 | 13 | 9 | 10 | 38:31 | 48 |
| სეტუბალი | 32 | 14 | 3 | 15 | 27:31 | 45 |
| მარიტიმუ | 32 | 10 | 12 | 10 | 35:34 | 42 |
| ლეირია | 32 | 11 | 8 | 13 | 37:40 | 41 |
| ამადორა | 32 | 10 | 9 | 13 | 29:33 | 39 |
| ბელენენსეში | 32 | 11 | 5 | 16 | 40:41 | 38 |
| ფერეირა | 32 | 10 | 8 | 14 | 34:47 | 38 |
| აკადემიკა | 31 | 10 | 7 | 14 | 35:43 | 37 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 10 | 6 | 16 | 35:41 | 36 |
| ნავალი | 32 | 10 | 6 | 16 | 34:46 | 36 |
| გიმარაეში | 32 | 8 | 10 | 14 | 27:37 | 34 |
| რიუ ავე | 32 | 8 | 10 | 14 | 31:45 | 34 |
| პენაფიელი | 32 | 2 | 9 | 21 | 21:59 | 15 |

**II დივიზიონი. XXXII ტური**

სანტა კლარა — მორეირენსე 2:0; ოვარენსე — ვარზიმი 2:4; მარკუ — ბარეირენსე 1:2; მაია — პორტიმონენსე 0:3; ლეიშოეში — ვიზელა 4:1; ფეირენსე — შავეში 1:0; ეშტორილი — გონდომარი 1:0; კოვილია — ავეში 1:2; ბეირა მარი — ოლიალენსე 1:0



კო ადრიანსე

„პორტუმ" „პენაფიელზე" გამარჯვებით გაინაღდა პირველი ადგილი და ოცდამეერთედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, „პენაფიელის" კარში ერთადერთი და საჩემპიონო გოლი ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანუმ შეაგდო.

ეს, პორტუელთა მთავარ მწვრთნელ კო ადრიანსეს პირველი დიდი წარმატებაა. მან „პორტუ" გასულ სეზონში მეორე ადგილზე გაიყვანა, შემდეგ კი ორ მთავარ ფეხბურთელს შეელია, ჟორჟე კოშტასა და ნუნუ ვალენტეს, რის გამოც კრიტიკა არ დაჰკლებია. თუმცა, გამოცდილმა ჰოლანდიელმა ტაქტიკოსმა წარმატებას მაინც მიაღწია და 14 მაისს ქვეყნის თასის ფინალში „სეტუბალს" თუ დაამარცხებს, „პორტუ" დუბლსაც შეასრულებს. თავად 58 წლის ადრიანსემ მოკლე კომენტარი გააკეთა — ტიტული დავიმსახურეთო.

„ჩვენი წარმატების მთავარი შემოქმედი ადრიანსეა და ცხადია, იგი მომავალ სეზონშიც გუნდის მწვრთნელი იქნება" — თქვა „პორტუს" თავმჯდომარემ ჟორჟე ნუნო პინტო და კოშტამ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# პიპო ალბომში დაიკარგა



კრისტიან ვიერი და ფილიპო ინძაგი

**საკმაოდ** ცნობილმა იტალიურმა ფირმა „პანინიმ", რომელიც ფეხბურთელების პლაკატებს, სხვადასხვა ჟურნალებს გამოსცემს, ახლახან, 2006 წლის მუნდიალის ალბომი დაბეჭდა. მთავარი კი ის არის, რომ ალბომში არ არის ბოლო დროს ბრწყინვალედ მოთამაშე ფილიპო ინძაგი, ხოლო კრისტიან ვიერი, რომელიც არცთუ კარგად თამაშობს, „პანინის" ალბომში მოხვდა. აპენინურმა მედიამ, სწორედ, ეს გაიკვირვა, რადგან „პანინი" საკმაოდ ავტორიტეტულია.

„შემადგენლობის შერჩევა იანვარში დავიწყეთ. ჩვენი არჩევანი, ბოლო ორ წელიწადში ნაკრებში ყველაზე ხშირად გამოძახებულ ფეხბურთელებს ეყრდნობა. თანაც, ჩვენი ალბომი 17-კაციანია და სრულ სიაში კიდევ ექვს ფეხბურთელს შეუძლია მოხვედრა, მათ შორის, ინძაგისაც. მხოლოდ 17 მოთამაშე რამდენიმე მიზეზის გამო ავარჩიეთ, ერთ-ერთი მთავარი კი, კომერციული მოაზრება გახლდათ. ალბომი უკვე საკმაოდ დიდი იყო და მისი კიდევ უფრო გაზრდა ფასსაც ასწევდა" — თავი იმართლა „პანინის" კომერციულმა დირექტორმა უმბერტო ლეონემ.

აქვე შეგახსენებთ, რომ ახლა მთავარი საკითხი, სწორედ, ვიერი-ინძაგის შორის არჩევანია, რომელიც მარჩელო ლიპიმ უნდა გააკეთოს. „პიპოს" სასარგებლოდ ის მეტყველებს, რომ მშვენიერ ფორმაშია, გოლი გოლზე გააქვს და „მილანს" ძალიან ეხმარება. ვიერი კი, პირიქით, ცუდად თამაშობს, მაგრამ ლიპის მისი ყოველთვის სჯეროდა და ვიერის, „სკუადრა აძურას" თავკაცთან კარგი ურთიერთობა აქვს...

„პანინის" ჩვიდმეტკაციანი ალბომში კი მოხვდნენ: ბუფონი, მატერაცი, კანავარო, ნესტა, გროსო, ძამბროტა, ძაკარდო, დე როსი, კამორანეზი, გატუზო, პირლო, პეროტა, დელ პიერო, ჯილარდინო, ტონი, ტოტი, ვიერი.

**ძოძი ძანდელაძი**

# უდინეზემ ჩილეში ვარსკვლავი მოწყვიტა

**იტალიურმა** „უდინეზემ" ახალგაზრდა ჩილელი ვარსკვლავი ალექსის სანჩესი ჩაიგდო ხელში. 17 წლის თავდამსხმელი უახლოეს დღეებში ჩავა აპენინებზე, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ოფიციალურად გახდება უდინეზელი. შეთანხმების ფინანსური დეტალები უცნობია.

სანჩესმა ამჟამინდელ კლუბ „კობრელოაში", ამ სეზონში 11-ჯერ ითამაშა და 7 გოლი გაიტანა. მისით უკვე ეროვნული ნაკრების თავკაცი ნელსონ აკოსტაც მოიხიბლა და პერსპექტიული ფორვარდი მომავალ კვირაში ახალ ზელანდიასთან გასამართ ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა.

„უდინეზეს" ისტორიაში სანჩესი მეორე ჩილელი ფეხბურთელი გახდება. პირველი დავიდ პიზარო გახლდათ, რომელმაც „ფრიულიზე" 6 წარმატებული სეზონი გაატარა და გასულ ზაფხულს მილანის „ინტერში" გადავიდა.

**ძოძი ძანდელაძი**



ალექსის სანჩესი

# რის ბექჰი...

**დევიდ ბექემი** არ უნდა იყოს ინგლისის ნაკრების კაპიტანი მსოფლიოს ჩემპიონატზე — ასე მიიჩნია „ვესტ ბრომვიჩის" მენეჯერმა და ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, ბრაიან რობსონმა — კაპიტანი ან ჯონ ტერი უნდა იყოს, ანდა სტივენ ჯერარდი. ამას ყველა ხვდება.



სანამ ბექემი კიდევ ერთ ულიმღამო სეზონს ილევს ესპანეთში, ეს ორი კაცი თავიანთი გუნდების ნამდვილი ლიდერები არიან და ნაკრებსაც ისინი წარმართავენ, ბექჰი კი ლიდერი არ არის მინდორზე.

ეს ყველაფერი რობსონის ახალ წიგნში წერია, რომელსაც „რობო" ჰქვია. „ტერი და ჯერარდი ხასიათით ნამდვილი ლიდერები არიან. მგონი, ტერი კიდევ უფრო მეტად. მთელი გუნდი მას უყურებს, ის კი მცველია და რამდენი გადამწყვეტი გოლი გაუტანია. სამაგალითო კაციც მინდორზე ასეთი უნდა იყოს" — ამბობს რობსონი.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

## ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა XXVI ტური**

ბანიკი — ტეპლიცე 0:0; სლოვაცკო — სლავია 0:0; ლიბერეცი — პრჟიბრამი 1:0; იჰლავა — პლზენი 2:0; ბლშანი — სიგმა 0:2; ბრნო — ზლინი 1:1; მოსტი — ბოლესლავი 1:0; სპარტა — იაბლონეცი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 26 | 15 | 9 | 2 | 36:16 | 54 |
| ბოლესლავი | 26 | 13 | 6 | 7 | 39:30 | 45 |
| ტეპლიცე | 26 | 10 | 14 | 2 | 31:19 | 44 |
| სლავია | 25 | 11 | 9 | 5 | 42:29 | 42 |
| სპარტა | 26 | 12 | 5 | 9 | 39:32 | 41 |
| სიგმა | 26 | 10 | 5 | 11 | 32:36 | 35 |
| მოსტი | 26 | 10 | 4 | 12 | 27:32 | 34 |
| იაბლონეცი | 26 | 9 | 6 | 11 | 31:35 | 33 |
| ზლინი | 26 | 8 | 9 | 9 | 23:27 | 33 |
| პრჟიბრამი | 26 | 7 | 9 | 10 | 33:31 | 30 |
| ბანიკი | 25 | 7 | 9 | 9 | 22:25 | 30 |
| სლოვაცკო | 26 | 6 | 10 | 10 | 23:27 | 28 |
| ბრნო | 24 | 5 | 12 | 7 | 24:25 | 27 |
| პლზენი | 26 | 5 | 10 | 11 | 25:33 | 25 |
| იჰლავა | 26 | 5 | 10 | 11 | 16:28 | 25 |
| ბლშანი | 26 | 4 | 11 | 11 | 17:35 | 23 |

## თურქეთი

**სუპერლიგა. XXXI ტური**

ანკარა — მანისა 3:1; ფენერბაჰჩე — გალათასარაი 4:0; სამსუნი — ანკარაგიუჯიუ 2:1; რიზე — ტრაბზონი 1:6; კონია — მალათია 0:2; ქაისერი — გაზიანთეფი 0:1; გენჩლერი — დენიზლი 3:3; დიარბაქირი — ერჯიესი 2:1; ბეშიქთაში — სივა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 31 | 23 | 5 | 3 | 82:29 | 74 |
| გალათასარაი | 31 | 23 | 5 | 3 | 73:33 | 74 |
| ტრაბზონი | 31 | 14 | 7 | 10 | 46:37 | 49 |
| ბეშიქთაში | 31 | 13 | 9 | 9 | 48:36 | 48 |
| გენჩლერი | 31 | 13 | 9 | 9 | 44:34 | 48 |
| ქაისერი | 31 | 13 | 6 | 12 | 47:37 | 45 |
| კონია | 31 | 11 | 9 | 11 | 37:41 | 42 |
| ერჯიესი | 31 | 9 | 13 | 9 | 34:40 | 40 |
| სივასფორი | 31 | 9 | 13 | 9 | 30:36 | 40 |
| მანისა | 31 | 11 | 6 | 14 | 50:53 | 39 |
| ანკარა | 31 | 8 | 12 | 11 | 43:45 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 31 | 9 | 9 | 13 | 41:43 | 36 |
| რიზე | 31 | 8 | 11 | 12 | 29:41 | 35 |
| გაზიანთეფი | 31 | 8 | 10 | 13 | 30:48 | 34 |
| დენიზლი | 31 | 7 | 9 | 15 | 37:48 | 30 |
| სამსუნი | 31 | 7 | 9 | 15 | 42:59 | 30 |
| მალათია | 31 | 7 | 9 | 15 | 30:49 | 30 |
| დიარბაქირი | 31 | 8 | 5 | 18 | 31:65 | 29 |

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი. პლეი ოფი საპასუხო მატჩები**

ალკმაარი 2:1 გრონინგენი (1:3)
ფეიენოორდი 2:4 აიაქსი (0:3)
ნაიმეგენი 2:3 ჰერაკლესი (2:0)
ვიტესი 2:0 ვალვაიკი (4:4)

## პოლონეთი

**I ლიგა. XXVI ტური**

კორონა — ვისლა 1:0; არკა — ოდრა 1:1; კრაკოვია — პოგონი 1:0; ბელხატოვი — ლეხი 1:1; ლეჩნა — პლოცკი 2:1; ლეგია — ზაგლებე 1:0; გურნიკი — ამიკა 0:2; პოლონია — გროცლინი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 26 | 18 | 5 | 3 | 42:13 | 59 |
| ვისლა | 26 | 15 | 7 | 4 | 42:18 | 52 |
| ამიკა | 26 | 12 | 7 | 7 | 42:25 | 43 |
| კორონა | 26 | 11 | 9 | 6 | 41:28 | 42 |
| ზაგლებე | 26 | 12 | 6 | 8 | 41:29 | 42 |
| ლეხი | 26 | 10 | 8 | 8 | 38:39 | 38 |
| გროცლინი | 26 | 9 | 7 | 10 | 33:36 | 34 |
| ოდრა | 26 | 8 | 9 | 9 | 20:25 | 33 |
| პოგონი | 26 | 8 | 7 | 11 | 27:33 | 31 |
| პლოცკი | 26 | 9 | 4 | 13 | 29:40 | 31 |
| ბელხატოვი | 26 | 7 | 9 | 10 | 25:30 | 30 |
| კრაკოვია | 26 | 8 | 6 | 12 | 26:40 | 30 |
| ლეჩნა | 26 | 5 | 12 | 9 | 19:23 | 27 |
| არკა | 26 | 4 | 14 | 8 | 20:27 | 26 |
| გურნიკი | 26 | 7 | 5 | 14 | 27:42 | 26 |
| პოლონია | 26 | 5 | 5 | 16 | 17:41 | 20 |

## შვედეთი

**ალსვენსკა. IV ტური**

ჰეკენი — იოსტერსი 0:1; ელფსბორგი — კალმარი 1:0; ჰამარბი — ჰალმსტადი 0:0; გაის — მალმიო 0:0; იურგორდენი — გიოტებორგი 1:0; ჰელსინგბორგი — აიკ 1:1; იორგრიტე — გეფლე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 10 |
| აიკ | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| ჰამარბი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| იურგორდენი | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 8 |
| გაის | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ჰეკენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:2 | 5 |
| მალმიო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| იოსტერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| გიოტებორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| ჰალმსტადი | 4 | 0 | 3 | 1 | 0:1 | 3 |
| გეფლე | 4 | 0 | 3 | 1 | 5:9 | 3 |
| კალმარი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| იორგრიტე | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა. III ტური**

ვოლერენგა — რუსენბორგი 0:0; სტაბეკი — ოდ გრენლანდი 1:1; სანდეფიორდი — ტრომსიო 1:0; მიოლდე — ლინი 0:1; ლილესტრიომი — ვიკინგი 3:1; ჰამ კამი — ფრედრიკსტადი 3:1; სტარტი — ბრანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდეფიორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ლინი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ლილესტრიომი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 5 |
| ბრანი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სტაბეკი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ჰამ კამი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| მოლდე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ოდ გრენლანდი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| ვოლერენგა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ფრედრიკსტადი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ვიკინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| სტარტი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| ტრომსიო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | ასტონ ვილა-სიტი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 4.10 | 3.30 | 1.85 | 1.82 | 1.27 | 1.18 |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 15:30 | 4 | ჩელსი-მანჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 18:00 | 5 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 18:00 | 7 | სიტი-ფულჰემი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 18:00 | 8 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 9 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 10 | უიგანი-პორტსმუთი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 20:15 | 11 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 12 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 40 | როჩდეილი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:45 | 41 | ტორკი-სტოკპორტი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 54 | ბარტონი-დაგ ენდ რედი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:45 | 55 | ჰალიფაქსი-გრეივსენდი | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 22:45 | 56 | ექსეტერი-ქროული | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:45 | 57 | უოკინგი-ფორესტ გრინი | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 22:45 | 58 | გრეისი-საუთპორტი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 70 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 18:00 | 72 | დანდი იუნ.-ფოლკირკი | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 18:00 | 73 | ლივინგსტონი-ინვერნესი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 74 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 75 | ჰარტსი-სელტიკი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 101 | ბაიერნი(მ)-ჰოფენჰაიმი | 2.80 | 3.00 | 2.20 | 1.44 | 1.23 | 1.26 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 20:45 | 124 | ქსამაქსი-ციურიხი | 3.60 | 3.40 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |
| 20:45 | 483 | იანგ ბოისი-ბაზელი | 3.00 | 2.90 | 2.25 | 1.47 | 1.28 | 1.26 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 131 | ვილი-შო დე ფონი | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 316 | იაბლონეცი-ბანიკი | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 317 | ბოლესლავი-სპარტა | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 19:00 | 318 | პლზენი-ბრნო | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 319 | პრჟიბრამი-მოსტი | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 320 | სიგმა-სლოვაცკო | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 19:00 | 321 | სლავია-ლიბერეცი | 2.00 | 3.00 | 3.45 | 1.20 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 322 | ტეპლიცე-ბლშანი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 19:00 | 323 | ზლინი-იჰლავა | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 18:30 | 332 | ბ.ბისტრიცა-ინტერი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 18:30 | 333 | პეტრჟალკა-ნიტრა | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 18:30 | 334 | რუჟომბეროკი-ტრნავა | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 18:30 | 335 | ტრენჩინი-დუბნიცა | 1.90 | 3.10 | 3.60 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| 18:30 | 336 | ჟილინა-პუხოვი | 1.60 | 3.60 | 4.40 | 1.10 | 1.17 | 1.98 |
| | | **დანია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 20:45 | 484 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 398 | ორებრო-მიალბი | 1.25 | 5.30 | 8.00 | 1.01 | 1.08 | 3.18 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 399 | ქვიდინგი-ასირისკა | 4.20 | 3.70 | 1.65 | 1.96 | 1.18 | 1.14 |
| | | **ჩემპიონთა** | | | | | | |
| | | **ლიგა** | | | | | | |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 464 | ვილიარეალი-არსენალი | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 465 | ბარსელონა-მილანი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 23:30 | 467 | სევილია-შალკე | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 469 | ზაგლებე-პლოცკი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | ასტონ ვილა-სიტი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 4.50 | 2.00 | 2.25 | 1.38 | 1.50 | 1.05 |
| 10464 | ვილიარეალი-არსენალი | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10465 | ბარსელონა-მილანი | 2.10 | 2.10 | 4.30 | 1.04 | 1.41 | 1.41 |
| 10466 | მიდლსბრო-სტიაუა | 2.15 | 2.00 | 4.90 | 1.03 | -1.49 | 1.42 |
| 10467 | სევილია-შალკე | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ასტონ ვილა-სიტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 5.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11464 | ვილიარეალი-არსენალი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11465 | ბარსელონა-მილანი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11466 | მიდლსბრო-სტიაუა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11467 | სევილია-შალკე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12002 | ასტონ ვილა-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12464 | ვილიარეალი-არსენალი | 1.60 | 2.00 |
| 12465 | ბარსელონა-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.60 | 2.00 |
| 12467 | სევილია-შალკე | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13002 | ასტონ ვილა-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13464 | ვილიარეალი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13465 | ბარსელონა-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13467 | სევილია-შალკე | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ასტონ ვილა-სიტი | 1.70 | 2.10 |
| 14003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 2.30 | 1.60 |
| 14464 | ვილიარეალი-არსენალი | 1.65 | 1.85 |
| 14465 | ბარსელონა-მილანი | 1.55 | 2.20 |
| 14466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.45 | 2.40 |
| 14467 | სევილია-შალკე | 1.55 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ასტონ ვილა-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15464 | ვილიარეალი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15465 | ბარსელონა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15466 | მიდლსბრო-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | სევილია-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ასტონ ვილა-სიტი | 1.45 | 2.30 |
| 16003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 2.60 | 1.35 |
| 16464 | ვილიარეალი-არსენალი | 1.60 | 1.90 |
| 16465 | ბარსელონა-მილანი | 1.32 | 2.40 |
| 16466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.30 | 2.65 |
| 16467 | სევილია-შალკე | 1.35 | 2.50 |

### გოლი:წყვილი-1 კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ასტონ ვილა-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17464 | ვილიარეალი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17465 | ბარსელონა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17467 | სევილია-შალკე | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18464 | ვილიარეალი-არსენალი | 3.00 | 1.30 |
| 18465 | ბარსელონა-მილანი | 1.12 | 4.50 |
| 18466 | მიდლსბრო-სტიაუა | 2.10 | 1.60 |
| 18467 | სევილია-შალკე | 1.60 | 2.10 |

# ღვინო, ბორჯომი, გეწაძე

## რუსული ბლოკადა მოჭიდავეებსაც შეეხოთ

**27-30 აპრილს მოსკოვი მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. პირველი ორი დღე ბერძენ-რომალები გავლენ ხალიჩაზე, მერე კი — თავისუფლები. ბეგი დარჩიას გუნდი რუსეთში ამ დილით გაფრინდა. ქართულ დელეგაციაში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძეც იყო, მაგრამ იგი რუსეთში ვერც ბერძენ-რომაელებს გაჰყვა და ვერც თავისუფლებს გაჰყვება. გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართული წინასატურნირო პრესკონფერენციის ძირითადი სასაუბრო თემაც ეს იყო**

„რუსეთის საელჩომ ვიზა არ მომცა — თქვა გეწაძემ — როგორ არ ვცადეთ, მაგრამ ოფიციალური განმარტება ვერაფრით მივიღეთ. არაოფიციალურის თანახმად კი ბრძანება რუსეთიდან მოდის. რატომღაც საშიშ პიროვნებად მიმიჩნიეს. ალბათ ბელარუსში ამასწინანდელი დაკავების გამო. სპორტი და პოლიტიკა სხვადასხვა სფეროებია და ერთმანეთს არ უნდა დავუკავშიროთ. სამწუხაროდ, რუსებმა ეს ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გააკეთეს. ადვილი წარმოსადგენია, თავად ტურნირზე რამხელა ზეწოლა იქნება ჩვენს მოჭიდავეებზე."

სავიზო პრობლემები არ შექმნიათ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლადო ვარძელაშვილს და პარლამენტარ ირაკლი ქავთარაძეს. პირველი ორი გუშინდელ პრესკონფერენციაზეც გამოცხადდა. დაჰპირდნენ კიდეც გეწაძეს, შენს მაგივრობას გავწევთო.

ნამგალაურმა მოსალოდნელ არაობიექტურ მსაჯობაზეც ჩამოაგდო სიტყვა:

„მსაჯობის პრობლემა სპორტის ყველა სახეობაში არსებობს და არც ჭიდაობაა გამონაკლისი. მომხდარის შემდეგ კი ამის საშიშროება, მგონი, უფრო მეტია. მაგრამ რაც უნდა დიდი ზეწოლა იყოს, აუცილებლად გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ."

ლადო ვარძელაშვილი: „რუსები თვლიან, რომ კახა გეწაძე მათთვის საშიში პიროვნებაა. ვითომ ჩვენ რითი ვართ მასზე ნაკლებნი? ბელარუსშიც ნამყოფი ვარ და უკრაინაშიც, მაგრამ ვიზა მაინც მომცეს. პრეზიდენტისთვის უარის თქმა ალბათ მოჭიდავეებზე ზეწოლის პირველი ნაბიჯია. ყველანაირად ეცდებიან, მოსკოვში ქართველმა არ გაიმარჯვოს. მოეწონებათ თუ არა, იმ დარბაზში ქართული ჰიმნი უნდა მოვასმენინოთ."

ნაკრების სამოსკოვო სამზადისსა და შემადგენლობაზე ბეგი დარჩიას უნდა [illegible] თუმცა პოლიტჟურნალისტებისთვის [illegible] უკვე მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა და პრესკონფერენციაც დასრულდა.

ბერძენ-რომაელების თავკაცს კომენტარი მოგვიანებით მაინც ვთხოვეთ:

ბეგი დარჩია: „შვიდკაცა შემადგენლობაში ხუთი დებიუტანტია. პროგნოზის გაკეთება არ მიყვარს. მით უმეტეს, ასეთ დროს. შეკრებების შემდეგ გუნდი საკმაოდ კარგადაა მომზადებული. დანარჩენი კი მოსკოვში გამოჩნდება. რაც შეეხება სავიზო პრობლემას, ეს ზეწოლა პირიქით, სასიკეთოდ უნდა გამოვიყენოთ. ბიჭებმა კარგად იციან, რამხელა წნეხის ქვეშ მოუწევთ ყოფნა და ხალიჩაზე მეტად შემართულნი გავლენ."

**ოთარ მაღლაკელიძე**



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი** მეოთხე ეტაპი

# შუმახერი: ისევ ახტუნგი

„ფერარი ბრუნდება! — განაცხადა განახლებული ბოლიდით დაიმედებულმა მიხაელ შუმახერმა იმოლაში ჩასვლისას — ახალი აეროდინამიკა და გაუმჯობესებული ძრავა წინგადადგმული ნაბიჯია. ამ ბოლიდით აშკარად შეგვიძლია გამარჯვებისთვის ბრძოლა, მეტოქეებს სულ მცირედ ჩამოვრჩებით და იმოლა „პირველი მერცხალი" უნდა გახდეს."

ბევრმა ეს ნათქვამი მობერებულ „წითელ ბარონს" ტაქტიკურ სვლად ჩაუთვალა, რეალობამ კი ყოველგვარ ვარაუდს გადააჭარბა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონისთვის სანმარინოული ეტაპი პირველ მერცხალზე ბევრად მეტი გახდა. მიხაელმა კვალიფიკაციაც და რბოლაც დამაჯერებლად მოიგო.

შაბათს მოპოვებული პოულ-პოზიცია ზეგამორჩეული მნიშვნელობისა იყო. ეს დიადი გერმანელის 66-ე და სარეკორდო პოულია, რითაც ლეგენდარული ბრაზილიელი ჯადოქრის აერტონ სენას ფანტასტიკური მიღწევა გააუმჯობესა.

რბოლის სტარტზე მის უკან ჰონდელები — ჯენსონ ბატონი და რუბენს ბარიკელო იდგნენ, შემდეგ — ფელიპე მასა. ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს მეხუთე დრო ჰქონდა, რაც მძიმე ავზს და შუმისგან განსხვავებულ საბოქსე ტაქტიკას ნიშნავდა. თუმც ნანდო ყველაზე მკვირცხლად დაიძრა, მაგრამ ვიწრო ტრეკზე ძალიანაც წინ გაჭრა ვერ მოახერხა, მხოლოდ ერთი პოზიციით გაიუმჯობესა ვითარება ბარიკელოს გვერდის ავლით. შეფერხებულ თანამემამულეს იქვე მასამაც გაასწრო.

მიხაელმა და ჯენსონმა მეწინავეობა კი შეინარჩუნეს, მაგრამ პირველივე წრეზე ბრძოლა შეფერხდა უსაფრთხოების „მერსედესის" გამოსვლის გამო. მიზეზი ახალბედა იუძი იდეს მორიგი „ტარანი" გახდა, პირველივე წრეზე ჟილ ვილნევის სახელობის მოსახვევში ისე წაჰკრა კრისტიან ალბერსის „მიდლენდს", რომ ჰოლანდიელის ერთი ხუთჯერ ამოტრიალებული ბოლიდი მოხრეშილ ზონაში პირქვე ჩაერჭო. საბედნიეროდ, მძღოლი უვნებლად გადარჩა.

ეს საათნახევრიანი, საკმაოდ ერთფეროვანი ჯირითის ყველაზე ემოციური მომენტი იყო. სასტარტო ხუთწუთიანი ფორიაქის შემდეგ ქარავანი დამშვიდდა და პირველ საბოქსე შეჩერებამდე დაწინაურებულთა შორის გადაადგილება არ მომხდარა.

წინწასულ შვიდეულში — მიხაელი, ბატონი, მასა, ალონსო, ბარიკელო, რალფ შუმახერი, მონტოია — დიდხანს, მთელი 15 წრე გადაადგილება არ მომხდარა. მიხაელი ყოველ წრეზე ზრდიდა მდევრებთან უპირატესობას და ბოქსებისკენ მაშინ გაუხვია, როცა ალონსოსთან 12-წამიანი მარაგი ჰქონდა. ფერნანდომ ხუთი წრე იცადა, ტრეკის უსწრაფესი დროც გააჩერხა, მაგრამ ბენზინიდან დაბრუნებული მაინც შუმის უკან აღმოჩნდა.

კონკურენტებს მეორე პიტსტოპი ელოდათ და რაკი ალონსომ ჩამორჩენა საგრძნობლად, ლამის მინიმუმამდე შეამცირა, დიდი ომიც იყო მოსალოდნელი, მაგრამ რატომღაც, რაც რბოლის შემდეგ თავად რენოელებმაც ვერ ახსნეს, ალონსოს ნაადრევად უხმეს ბოქსებში. ფერარელებმა მყისვე საპასუხო რეაქციით მიხაელიც „დაბოქსეს" და ამან „წითლებისთვის" სასურველი შედეგი მოიტანა. შუმახერი ბოქსებიდან ალონსოს ცხვირწინ დაბრუნდა და რადგან უვიწროეს „იმოლაზე" გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია, პრობლემაგაჩენილი მანქანითაც კი მიხაელმა შეინარჩუნა ლიდერობა და ზღაპრულ კარიერაში 85-ე დიდი პრიზი დაისაკუთრა.

**გია ახალაძე**



AFP იმიჯიდან

მიხაელ შუმახერი 85-ედ აიწია

**რბოლის შედეგები**

**სან მარინოს დიდი პრიზი**
**23 აპრილი. იმოლა**
დისტანცია 62 წრე — 307,2 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1:31.06,5 (202,3 კმ/სთ) |
| 2. | (5) | ალონსო (რენო) | ჩამორჩა 2,1 |
| 3. | (7) | მონტოია (მაკლარენი) | 15,9 |
| 4. | (4) | მასა (ფერარი) | 17,1 |
| 5. | (8) | რაიკონენი (მაკლარენი) | 17,5 |
| 6. | (10) | ვებერი (უილიამსი) | 37,7 |
| 7. | (2) | ბატონი (ჰონდა) | 39,6 |
| 8. | (11) | ფიზიკელა (რენო) | 40,2 |
| 9. | (6) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 45,5 |
| 10. | (3) | ბარიკელო (ჰონდა) | 1.17,8 |
| 11. | (13) | როსბერგი (უილიამსი) | 1.19,7 |
| 12. | (12) | ვილნევი (BMW-ზაუბერი) | 1.22,4 |
| 13. | (15) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 14. | (16) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 15. | (18) | სპიდი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 16. | (19) | მონტეირო (MF 1) | 2 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | |
|---|---|---|
| (15) | კულჰარდი (რედ ბული) გაიარა | 46 წრე |
| (21) | სატო (სუპერ აგური) | 43 |
| (17) | კლიენი (რედ ბული) | 39 |
| (22) | იდე (სუპერ აგური) | 11 |
| (9) | ტრული (ტოიოტა) | 4 |
| (20) | ალბერსი (MF 1) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
მ.შუმახერი 1.22,795 (215,6 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
ალონსო 1.24,569 (211,1 კმ/სთ)

| F1 | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ.ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 10 | 8 | 10 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 36 |
| 2 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 8 | ■ 3 | – | ■ 10 | | | | | | | | | | | | | | | 21 |
| 3 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | – | 8 | 4 | | | | | | | | | | | | | | | 18 |
| 4 ფიზიკელა რენო, იტალია | ■ – | 10 | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 5 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 4 | 5 | – | 6 | | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 6 ბატონი ჰონდა, დ. ბრიტანეთი | 5 | 6 | ■ – | 2 | | | | | | | | | | | | | | | 13 |
| 7 მასა ფერარი, ბრაზილია | – | 4 | – | 5 | | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 8 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 1 | 6 | – | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 9 ვებერი უილიამსი, ავსტრალია | 3 | – | – | 3 | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 10 ჰაიდფელდი BMW ზაუბერი, კანადა | – | – | 5 | – | | | | | | | | | | | | | | | 5 |

ვილნევი — 5, ბარიკელო, როსბერგი — 2, კლიენი, კულჰარდი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** რენო — 51; მაკლარენი — 33; ფერარი — 30; ჰონდა — 15; BMW ზაუბერი — 10; უილიამსი — 8, ტოიოტა — 7, რედ ბული — 2 ქულა

# სასოფიე კიევური თადარიგი თბილისური პრობლემებით

*ორი მოგება და ერთიც წაგება — ასეთია საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა მონაგარი უკრაინის ღია ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებში, რომელიც კიევში გაიმართა.*

*კიევის ამ ტურში ქართველ წყალბურთელებს მოლდოვას ნაკრებთანაც უნდა ეთამაშათ, მაგრამ რუსეთში ჩვენსავით ლვინოდაწუნებულებმა ამჯერად ეს შეხვედრა გამოტოვეს და სხვა წყალში ბურთაობა ამჯობინეს.*

*ასე იყო თუ ისე, უკრაინის ჩემპიონატის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ჩვენი წყალბურთელები ახლა 16 ქულით IV ადგილზე არიან, პირველობას კი მარიუპოლის პირველი გუნდი ლიდერობს, რომელსაც ჯერ ქულაც არ დაუკარგავს. მას 21 ქულით კიევის დინამოელები მოჰყვებიან, ხოლო მათი ლვოველი თანაგუნდელები მესამე ადგილზე არიან (19)*

— უკრაინის დედაქალაქში მშვენიერი ფორმით ჩავედით, ვგულისხმობ ჩაცმა-დახურვას, რასაც საქართველოს საწყლოსნო ფედერაციას უნდა ვუმადლოდეთ. მან სპორტული ფორმის სრული კომპლექტი შეგვიძინა და საუკეთესოდაც გამოგვაწყო — გვიამბობს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე — რაც შეეხება კიევური ტურის შედეგებს, ჩვენი მთავარი ამოცანა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის უკეთ მომზადება იყო. შესარჩევი ტურნირი სოფიაში გაიმართება, ამიტომაც უკრაინის დედაქალაქში მხოლოდ შესაბამისი ასაკის წყალბურთელები წავიყვანეთ და ყველა შეხვედრაში გარკვეული ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებას ვცდილობდით. თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გამარჯვებაზე არ ვფიქრობდით. პირიქით, თავდაუზოგავად ვიბრძოდით. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ლვოვის დინამოელებთან შეხვედრა — ერთი ბურთით წავაგეთ, 10:11. სევასტოპოლის გუნდთან და ხარკოვის „ლოკომოტივთან" კი შედარებით იოლი ბრძოლა გამოგვივიდა: ორივეში გავიმარჯვეთ შესაბამისად — 11:7 და 16:11.

— კიევში ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავდა, მაგრამ როგორც ვიცით, იქ ამ ასაკს გადაცილებული ერთი წყალბურთელი ათამაშეთ — მოსკოვის ცსკ ვმფ-ის ჩვენი ლეგიონერი კოტე გეგელაშვილი...

— დიახ, ასე იყო. რაკი ჩვენი გუნდის წევრები მეტოქეებს ასაკით ჩამორჩებოდნენ და შესაბამისად ფიზიკურადაც და აღნაგობითაც, რომ არ შემდრკალიყვნენ, ერთი ასაკგადაცილებული ლეგიონერით გავაძლიერეთ.

— მაინც, საევროპოდ როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენმა წყალბურთელებმა?

— რამდენიმემ ჩემი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ რვა ვარჯიშზე იმ ნაკლის გამოსწორებას შევეცდებით.

— კიევში ყველაზე უკეთ ვინ ითამაშა?

— გარკვეული მოსაზრების გამო ახლა ვინმეს გამორჩევა არ მინდა, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ — ჩვენს გუნდში საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა მოსკოვის ცსკ ვმფ-ში მოთამაშე ზურაბ რურუა, რომელმაც 16 ბურთი გაიტანა. იმედია, სოფიაშიც გამოიჩენს თავს, რადგან იგი სტაბილურად თამაშობს. ეს დამიდასტურა რურუას მოსკოველმა მწვრთნელმაც. მან მითხრა, რომ რურუამ კუბაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზეც კარგად ითამაშა და იქ ცსკ ვმფ-ის საბოლოო გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

— უკრაინის დედაქალაქში კიევის „დინამოს" შემადგენლობაში მოთამაშე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის, გურამ კოტარიას მზადყოფნაზე რას იტყვით?

— რა თქმა უნდა, კიევის დინამოელთა თამაშს კოტარიას გამოც დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი. კიევში მან ყველა შეხვედრა კარგად ჩაატარა და ცხადია, სოფიაში იგი ჩვენთან იქნება.

— სოფიაში ვისთან მოგვიწევს შეხვედრები?

— რუსეთის, მოლდოვას, თურქეთის, კვიპროსისა და მასპინძელ ბულგარელთა ნაკრებებთან.

— როგორია ჩვენი შანსი? ფავორიტებად ვინ მიგაჩნიათ?

— ვფიქრობ, ფავორიტი რუსეთია. სხვათაგან აღსანიშნავია თურქეთის ნაკრები. მას შარშან ვეთამაშეთ და ის შეხვედრა ფრედ დასრულდა, მაგრამ როგორც მეუბნებიან, თურქები მას მერე აღმავლობის გზაზე არიან, რასაც სხვადასხვა ტურნირებში მათი ხშირი მონაწილეობა განაპირობებს, რასაც ჩვენ მოკლებულნი ვართ. სოფიაში სერიოზული კონკურენტი იქნება მასპინძელთა ნაკრებიც.

სამწუხაროდ, სასოფიო სამზადისისთვის თბილისში პრობლემები გვაქვს, იძულებულნი ვართ „ბურევესტნიკის" 25-მეტრიან საცურაო აუზში ვივარჯიშოთ, რომელიც წყალბურთელთა სტანდარტული ზომის სარბიელს ჩამორჩება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## 2006 NBA Playoffs

22-23 აპრილი

### აღმოსავლეთი

**კლივლენდი 97:86 ვაშინგტონი**

კლივლენდი: ჯეიმსი (32 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი), მარშალი (19), სნოუ (14)

ვაშინგტონი: არენასი (26), ჯეფრისი (15), დანიელსი (14)

**მაიამი 111:106 ჩიკაგო**

მაიამი: ვეიდი (30 ქულა, 11 პასი), ონილი (27 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), უილიამსი (17)

ჩიკაგო: გორდონი (35), ჰაინრიხი (19), ნოჩიონი (18)

**ნიუ ჯერსი 88:90 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: კარტერი (31 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), კრისტიჩი (22), ჯეფერსონი (19)

ინდიანა: ჯეკსონი (18), ონილი (15)

**დეტროიტი 92:74 მილუოკი**

დეტროიტი: რ. ვოლესი (22), ჰამილტონი (21), პრინსი (15), ბილაფსი (14)

მილუოკი: ბელი (13), რედი (11)

### დასავლეთი

**სან ანტონიო 122:88 საკრამენტო**

სან ანტონიო: პარკერი (25), მუჰამედი (18), დანკანი (11), ვან ექსელი (11)

საკრამენტო: ბიბი (17), არტესტი (16) ველსი, (12)

**კლიპერი 89:87 დენვერი**

კლიპერი: ბრენდი (21), კასელი (19), მობლი (17), კამანი (15 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი: ენტონი (25), მილერი (25)

**ფინიქსი 107:102 ლეიკერსი**

ფინიქსი: ტ. ტომასი (22 ქულა, 15 მოხსნა), ნეში (20 ქულა, 10 პასი), მარიონი (19)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

ლეიკერსი: ბრაიანტი (22), ოდომი (21 ქულა, 14 მოხსნა), უოლტონი (19)

**დალასი 103:93 მემფისი**

დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (20), სტეკჰაუსი (14)

მემფისი: გასოლი (24), ჯონსი (16)



## სტენლის თასი

21-23 აპრილი

### აღმოსავლეთი

**ოტავა 4:1 ტამპა**

*0:0 0:1 4:0*

0:1 ლეკავალიე (39), 1:1 ჰავლატი (46), 2:1 სპეცა (47), 3:1 ფიშერი (50), 4:1 ალფრედსონი (59)

**ოტავა 3:4 ტამპა**

*1:1 1:1 1:2*

1:0 სმოლინსკი (5), 1:1 სან ლუი (15), 1:2 რიჩარდსი (28), 2:2 ჰავლატი (38), 3:2 შეფერი (44), 3:3 ბოილი (46), 3:4 სან ლუი (47)

**კაროლინა 1:6 მონრეალი**

*1:2 0:2 0:2*

1:0 კალენი (1), 1:1 ბულიონი (9), 1:2 ბონკი (17), 1:3 კოვალიოვი (23), 1:4 ჰიგინსი (37), 1:5 კოვალიოვი (52), 1:6 სურეი (59)

**ნიუ ჯერსი 6:1 რეინჯერსი**

*1:1 2:0 3:0*

1:0 ელიაში (4), 1:1 პრუხა (10), 2:1 გომესი (28), 3:1 კლი (38), 4:1 რაფალსკი (41), 5:1 ლანგენბრუნერი (49), 6:1 ელიაში (56)

**ბუფალო 3:2 ფილადელფია**

*1:0 1:1 0:1 0:0 1:0*

1:0 კონოლი (6), 2:0 მაკი (25), 2:1 კნუბლი (37), 2:2 განიე (59), 3:2 ბრიარი (88)

### დასავლეთი

**ნეშვილი 0:3 სან ხოსე**

*0:3 0:0 0:0*

0:1 ჩიჩუ (6), 0:2 მარლო (17), 0:3 სმიტი (18)

**დეტროიტი 3:2 ედმონტონი**

*1:1 0:1 1:0 0:0 1:0*

1:0 ლანგი (5), 1:1 სამსონოვი (12), 1:2 პრონგერი (29), 2:2 მოლტბი (54), 3:2 მოლტბი (83)

**დეტროიტი 2:4 ედმონტონი**

*1:1 1:2 0:1*

0:1 პრონგერი (13), 1:1 უილიამსი (15), 2:1 ზეტერბერგი (28), 2:2 პიზანი (38), 2:3 ვინჩესტერი (39), 2:4 სტოლი (60)

**დალასი 2:5 კოლორადო**

*2:1 0:3 0:1*

1:0 მოროუ (14), 2:0 გერინი (16), 2:1 ჰეიდუკი (17), 2:2 ვოლსკი (26), 2:3 ბლეიკი (30), 2:4 ლაილსი (32), 2:5 კლარკი (43)

**კალგარი 2:1 ანაჰაიმი**

*0:0 1:0 0:1 1:0*

1:0 ამონტე (27), 1:1 ფრიზენი (46), 2:1 მაკარტი (70)

**კალგარი 3:4 ანაჰაიმი**

*0:2 2:1 1:1*

0:1 კუნიცი (10), 0:2 ს. ნიდერმაიერი (14), 0:3 ლუპული (26), 1:3 იგინლა (30), 2:3 ჰუსელიუსი (32), 2:4 პოლსონი (48), 3:4 ფანიოფი (56)

**ნეშვილი 4:3 სან ხოსე**

*3:1 0:1 1:1*

0:1 სმიტი (5), 1:1 სილინჯერი (9), 2:1 ერატი (11), 3:1 უებერი (20), 3:2 ეკმანი (29), 3:3 ს. ტორნტონი (51), 4:3 ჰოლი (53)



## მონტე კარლო. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 2 082 500 €



AFP მონტე კარლოდან

რაფაელ ნადალი

### ფინალი

**რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — 6:2 6:76:3 7:6**

**რაფაელ ნადალი** თიხნარზე უძლეველია — აგერ, უკვე მეორე წელია, ვერავინ ახერხებს მის დამარცხებას. ამასობაში ესპანელმა მაჩომ სამი მასტერსისა და „როლან გაროსის" მოგება მოასწრო, მონტე კარლოში კი ზედიზედ მეორედ იჩემპიონა.

ფინალი საინტერესო, ლამაზი და რაც მთავარია, ძალიან დაძაბული გამოდგა. ნადალმა და როჯერ ფედერერმა თითქმის ოთხი საათი აწვალეს ერთმანეთი, თუმც ამდენივე ხანს დიდი სიამოვნება მიანიჭეს ჩოგბურთის ყველა ნამდვილ გულშემატკივარს. ნადალის გამარჯვებების სერიამ თიხნარზე უკვე 42-ს უწია.

### ქალები. ფედერაციის თასი. მსოფლიო ჯგუფი. მეოთხედფინალი

ნანსი. საფრანგეთი
**საფრანგეთი 1:4 იტალია**

ვალენსია. ესპანეთი
**ესპანეთი 5:0 ავსტრია**

ეტენჰაიმი. გერმანია
**გერმანია 2:3 აშშ**

ლიეჟი. ბელგია
**ბელგია 3:2 რუსეთი**


## წამალი „სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge